№ 64

1877—1905

№ 64

შაბათი, 30 აპრილი

გაზეთის ფასი დამატებით: წელიწადში 10 მან., ექვს თვეში 5 მან. თვეში 1 მანეთი.
რედაქციასთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, უქმეებს გარდა, დილის 11-დან 12 საათამდე.
დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელზე უნდა გამოიგზავნოს; წვრილ წერილებს რედაქცია არ ინახავს, ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.
ფოსტ. ადრესი: Тиф., Ред. „Иверія“.

ცალკე ნომერი 3 კაპ.

ივერია

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვერდზე 12 კაპ., უკანასკნელზე 10 კაპ., წლიური განცხადება—მორიგებით.
განცხადება რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და ე. მეტცლის და ამხ. კანტორებში—მოსკოვსა, პეტერბურგსა და ვარშავაში.
ხელის მოწერა და დასაბეჭდი ადგილობრივი (კავკასიის) განცხადება მიიღება რედაქციაში: პუშკინის ქუჩაზე, № 11, საკრედ. საზ.-ბის სახლში.

ტელეფონი № 922.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ივერია“.

1905 წლის განმავლობაში რედაქცია დაურიგებს ხელის მომწერლებს

პრემიად 12 წიგნს

საერთო სათაურით: „ივერიის ბიბლიოთეკა“, რომელშიაც მოთავსებული იქნება: ბელეტრისტული და სამეცნიერო თხზულებანი და წერილები ქართველ და უცხო მწერალთა.

გაზეთში და საპრემიო წიგნებში იქნება მოთავსებული **სურათები** და **ილლუსტრაციები**.

გაზეთის ფასი: 1 აპრილიდან წლის დამლევამდის 7 მან., რომლის გადახდა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება. ვინც პრემიის უკვე დარიგებულ პირველ წიგნს მოისურვებს, 50 კაპ. უნდა გამოგზავნოს მის ფასად.

ცალკე ნომერი გაზეთისა ღირს 3 კაპ.

რედაქცია იმყოფება პუშკინის ქუჩაზე, № 11, საკრედიტო საზოგადოების სახლში (მესამე სართულში).

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція газ. „Иверія“.

სამედიატორო სასამართლო,

შემდგარი გორის მაზრაში მდებარე მამულის „საფალავანდოს“ გასაყოფად მონაწილეთა შორის, ამით იწვევს სამედიატორო ხელშეკრულობაზე ხელის მომწერთ, გამოცხადდნენ 1905 წ. 27 ივნისს, ნაშუადღევის 2 საათზე, დეპუტატთა საკრებულოში (ქ. ტფილისი, სოლოლაკის ქუჩა, № 10) სამედიატორო განაჩენის მოსასმენად. (3—3)

გამგეობა ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთა პირველ ამხანაგობისა

ამით აუწყებს წევრთ ამ ამხანაგობისას, რომ ვინაიდგან პირველ კრებას არ დაესწრო საჭირო რიცხვი ამხანაგობის წევრთა, ამისთვის **ხელახალი კრება** დაინიშნა 8 მაისისთვის მდგომარე წლისა და იგი კანონიერად ჩაითვლება, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს. (1—1)

ტფილისის

კერძო სამკურნალო

მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ვ. ი. ჯაჯანაძე. კბილის—8—9 საათ.

გ. გ. მაღალაშვილი. შინაგანი. ოთხშაბ. 9—10 საათამდე და კვირაობით 9—11 საათ.

ა. ი. ბალარჯიშვილი.—ბავშვებისა $9\frac{1}{2}$—$10\frac{1}{2}$ ს.

ნ. ტ. მულინი.—ყურისა, სასისა და ცხვ. 10—11.

ვ. დ. ლამბაშიძე.—შინაგ. სამშ., ხუთშ., პარასკ. და შაბათობით 11—12.

ვ. მ. მანსვეტოვი.—შინაგ. და ბავშვ. 12—1 ს.

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი და ნერვებისა 2—1 ს.

ექ. ქალი მ. ქ. იოსელიანი.—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.

ქ. ნ. დიასამიძე. — ვენერიული და კანისა $12\frac{1}{2}$ $1\frac{1}{2}$ საათ.

ს. ს. ალექსი-მესხიშვილი.—ხირურგია 1—2.

საღამოს:

ს. ი. ვაჩაძე.—შინაგ. 6—7 საათამდე.

ოპერაციების გაკეთება შეუძლიანთ გარეშე ქირურგებსაც.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., საავადმყოფოს აქვს ოცი საწოლი. სამკურნალოში ოპერაციები მორიგებით, კრავატები დღეში ღირს 2-დან სამ მანათამდე. საზოგადო და ნომერი — 5 მან.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი), სახლი აბრამოვისა, № 9. მიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б.

ტელეფონი № 274.

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმები ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

მ. უ. ჩიქოვანი.—9 საათიდან 10 საათამდე—თვალის შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

მ. გ. აფეტისიანცი. 11—12 საათამდე—კანისა და ვენერიულ-ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ზ. ი. ბაბანასოვი—დილის 11—12 საათ.—ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

ქ. ი. ბძილიშვილი—12—1 საათ.—ყელისა, ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

ბ. ა. თარხანოვი—1—$1\frac{1}{2}$ საათ.—შინაგანის და ბავშვებისა.

ა. პ. ქარაპეტიანცი. 1—$1\frac{1}{2}$ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ექიმი ქალი **ა. ი. შჩერბინინა**—$1\frac{1}{2}$—2 საათ.—ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

საღამოობით:

პ. ა. არდაზიანი.—აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ტერიოსკოპიულს გამოკვლევას, 5—7 საათ.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს.—უკეთებს მასსაჟს (მსურველთ სახლში) და აცრის ყვავილს, გამართავს საექიმო გიმნასტიკას, ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი—ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის — მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი, დოქტორი **ქ. ბძილიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана.
Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. წლ.

ტფილისის ექიმები.

კბილის ექიმი

ივანე პ. ახალშენიშვილი

გადავიდა: ნიკოლოზისა (№ 32) და ხიდის ქ. №) 21) კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმით 10—1-მდის.

კბილის ექიმი ნ. ტუშელაშვილი იღებს ავადმყოფებს 9 საათიდან საღამოს 5 საათ., ოლგას ქუჩა, № 31.

ალექსი-მესხიშვილი, სარდიონ სარდიონის-ძე. იღებს სადოსტაქრო ავადმყოფებსა და საშარდე-სქესებრივ ორგანოებით დასნეულებულთ ყოველ-დღე, ნაშუადღევის 5 საათიდან 6-მდე. ოლგას ქუჩა, № 15.

გძელიშვილი კონსტანტინე—ელისაბედის ქუჩა, სახლი № 13.

ვ. ს. მუსხელიშვილი—კიროჩნისა და დიდის მთავრის ქუჩების კუთხე, სახლი სვანიშვილისა, № 11. მიიღებს თვალით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს., საღამოთი 6—7 აათ., გარდა სამშაბათისა.

ვაწაძე სპირიდონ—პეტერბურგის ქუჩა, საკუთარი ახლი.

დიასამიძე ალექსანდრე—ლორის-მელიქოვისა და ბარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ, მესხიშვილის სახლი, № 18 —იღებს ავადმყოფებს დილით—9—11და საღამოთი 6—8-საათამდე.

გაბაშვილი გრიგოლ—კოჩუბეის ქუჩა, № 19.

ბესარიონ პაპოვი—ყელ-ყურისა და ცხვირით ავადმყოფობის ექიმი—1—2 საათ. და 5—8 საათ. მიხეილის ქუჩა, ფორერის სახლი № 157.

დანარჩენი მუხლები

ჩვენ აღვნიშნეთ სომეხთა ,,პეტიციის'' მხოლოდ ერთი მუხლი, რომელიც ოსმალეთის სომეხთა კავკასიაში გადმოსახლებას შეეხება და განსაკუთარებულ ყურადღების ღირსად გვეჩვენა. არაფერი გვითქვამს დანარჩენ მუხლებზე, თუმცა იმათშიაც არის ბევრი რამ ისეთი, რაც ინტერესსა და საზოგადოებრივ მნიშვნელობას მოკლებული არაა.

რა თქმა უნდა, მას შემდეგ, რაც პეტიციის ავტორებმა ასეთი სურვილი გამოსთქვეს, რომ ოსმალეთის სომხობას კავკასიაში ნადელები და სამოსახლო ადგილები მიეცეს, მკითხველს აღარ გაუკვირდება, როცა გაიგებს, რომ იგივე ავტორები თხოულობენ კავკასიის მცირე-მამულიან და უმიწაწყლო სომეხ გლეხებისათვის უპირატეს უფლებას კავკასიის სახაზინო მიწებზე დასასახლებლად. ამაზე სამართლიანად შენიშნა ,,ცნობის ფურცელმა'', რომ ეს ,,მოთხოვნა კანონიერია, მაგრამ მეტად ზოგადი და გაურკვეველი, თუ მხედველობაში მივიღებთ ამიერ-კავკასიის მრავალ ხალხოსნობას. სად უნდა დასახლონ ქართველი უმიწწყლო გლეხები? სასიამოვნო და სასარგებლო იქნება სომხობისთვის, რომ იმერლობა, მაგალითად, ეჩმიაძინის მაზრაში დასახლონ? ამიტომ წინდაწინვე დაყოფილი უნდა იქმნეს ტერიტორია ხალხებ შორის, იმის მიხედვით, თუ რომელი ხალხი სად უფრო ბინადარია“.

პეტიციის დამწერნი, ცხადია, საგანს ისე არ უცქერიან და არავითარ მნიშვნელობას არ აძლევენ, თუ რაგვარად არის კავკასიის ტერიტორია სხვადასხვა ეროვნებათა შორის დაყოფილი. რასაკვირველია, მოქალაქობრივი უფლება ვერავის წაერთმევა და ყველას უნდა შეეძლოს მამული იყიდოს და იქ დასახლდეს, სადაც სურს. მაგრამ სულ სხვაა, როცა ამისათვის ვინმე სახელმწიფოს მიმართავს, რომელიც—იდეალურად მაინც—ყველა ეროვნების ინტერესთა ერთგვარად დამცველი უნდა იყოს.

ამ მუხლთან მჭიდრო კავშირი აქვს იმ მუხლს, სადაც პეტიციის შემდგენელნი თხოულობენ, რომ ადგილობრივ საკრედიტო დაწესებულებებს ნება მიეცეთ მიწები შეიძინონ და უმიწა-წყლო სომეხ გლეხებს საგლეხო ბანკის მაგიერობა გაუწიონ. ეს მოთხოვნაც სრულიად კანონიერია და ჩვენ მის წინააღმდეგ ვერაფერს ვიტყვით, რადგან ყიდვა-გაყიდვა, მამულის შეძენა და შენაძენის თავის სურვილის თანახმად მოხმარება უფლებაა ყოველ მოქალაქისა. აღვნიშნავთ მხოლოდ, ვითარცა ნამდვილ ვითარებას, რომ სომხის ბურჟუაზია, როგორადაც დიდად ღონიერი, ამგვარად დიდძალ მამულებს შეიძენს და შესამჩნევადაც ხელს შეუწყობს სომეხთა კოლონიზაციას.

მთელი ეს პეტიცია სომეხთა ბურჟუაზიის ნაწარმოებია და ამიტომ მას ცხადად ეტყობა ბურჟუაზიული „ნაციონალისტობა“ და პოლიტიკური გაუბედაობა. ისინი თხოულობენ, მაგალითად, პატარა საერობო ერთეულების დაარსებას და უარყოფენ ამასთან საგუბერნიო ერობას ვითომ იმ მოსაზრებით, რომ გუბერნიებში უმრავლესობას ვერ შევადგენთო. ქალაქებს აცალკევებენ, რადგან სომხობა ჩვენში უფრო ვაჭარი ხალხია, ქალაქებშია თავმოყრილი, და ამიტომ ქალაქების გამოცალკევება ჩვენ მეტ ძალასა და გავლენას მოგვცემსო. თხოულობენ სომეხ-კათოლიკეთა ეპარქიის დაარსებას სომეხ ეპისკოპოსითურთ და ამით, ასე ვთქვათ, უარყოფენ ქართველ კათოლიკეთა არსებობას და მათ ეროვნულ-საეკკლესიო უფლებას.

ეს არის საპეტიციო ,,ნაციონალიზმი''. საზოგადოდ იმ საკითხებში, რომელიც, ასე თუ ისე, კავკასიის სხვა ხალხებს ეხება, პეტიციის დამწერთ უფრო მეტი გაბედულობა ემჩნევა, ვიდრე იქ, სადაც თავისი მოთხოვნა აწინდელ პოლიტიკურ რეჟიმს უნდა დაუყენონ წინ. იმათ ცხადად ეტყობათ შიში ბიუროკრატიისა და სომხურ ენაზე სწავლების მოთხოვნას მხოლოდ პირველდაწყებით სკოლებისათვის ჰბედავენ, ხოლო სახელმწიფო სასწავლებლებში მარტო ენისა, ისტორიისა და ლიტერატურის საგნებად სწავლებით კმაყოფილდებიან.

მაგრამ ყველაზე უფრო პეტიციის შემდგენლების ბურჟუაზიული მიდრეკილება იქა სჩანს, სადაც ერობასა და „კავკასიის საერობო კრებაზე“ აქვთ ლაპარაკი. ნახსენები აქვთ „ფართო საფუძველზე“ დამყარებული ერობა, მაგრამ ერთის სიტყვითაც არ არის ნათქვამი, თუ რას ნიშნავს ეს «ფართო საფუძველი». კავკასიისთვის „საერობო კრებას“ თხოულობენ, რომელსაც არავითარი საკანონმდებლო უფლება არ ექნება და მხოლოდ უხმოდ უნდა ითათბიროს კავკასიის შესახებ პროექტებზე, რომელსაც შემდეგ დააკანონებს სრულიად-რუსეთის საკანონმდებლო დაწესებულება. ისინი კავკასიის ავტონომიის მოთხოვნასაც კი ვერ ბედავენ თავის პეტიციაში.

და მიაქციეთ ყურადღება: ერთი კრინტი არ არის დაძრული იმის შესახებ, თუ რა წესით უნდა სწარმოებდეს არჩევნები ერობისა და „კავკასიის საერობო კრებისათვის“. როცა სრულიად-რუსეთისათვის „წარმომადგენლობითი კრებას“ თხოულობენ, არ ავიწყდებათ არჩევანი: საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი და იდუმალი. აქ კი, რაღაც მანქანებით, ეს დაეიწყებიათ და ამგვარად შემდეგისათვის გადაუდევიათ ამის გადაწყვეტა, ერობასა და „საერობო კრებაში“ მარტო ბურჟუაზიას უნდა ექმნეს ადგილი, თუ ხალხსაც.

მაგრამ ხალხი დღეს ბრმა აღარაა და, იმედია, შენიშნავს და დაინახავს, თუ რას მოასწავებს ეს გულმავიწყობა და არსებითი საგნის გადაფუჩეჩება...

დეპეშა

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

29 აპრილი

ლოძი, 29 აპრილი. თსხერის ქარხანაში ისევე მიიღეს 400 მუშა. მუშები დღეში ორჯელ იცვლებიან. ძველი მუშა ხუთასამდეა.

ოდესა, 29 აპრილი. ოდესაში მყოფ 25,000 ნოქრის ჯანმრთელობის დასაცველად, გრადონაჩალნიკმა გადასწყვიტა, 16 საათის მაგიერად ამუშაონ 12 საათის განმავლობაში. ამაში 2 საათი სადილისთვის და საუზმისთვის უნდა იყოს. შრომის ამნაირი შემსუბუქება 6 მაისიდან უნდა შემოვიდეს ძალაში. გრადონაჩალნიკი იწვევს ვაჭრებს ამ რიცხვამდის განაცხადონ თავიანთი გადაწყვეტილება ამ საქმის შესახებ.

ქრისტიანია, 29 აპრილი. საპარლამენტო განსაკუთრებულმა კომისიამ დღეს საკონსულოების შესახებ მოხსენება წარადგინა. კომისია ერთხმად მოითხოვს ნორვეგიისთვის ცალკე საკონსულოს დაარსებას.

ლოძი, 29 აპრილი. ზოგიერთი ადგილობრივი მექარხნე იარმოლინცის ბაზრობისთვის საქონელს არ ამზადებს. ამბობენ, რომ ზოგიერთი მსხვილი მექარხნე იქითკენ თავის ნაწარმოების გაზავნას არ ჰფიქრობს.

კრონშტადტი, 28 აპრილი. მოსულ გემების კაპიტნები აცხადებენ, ფინურ ყურეში დამსხვრეულ ყინულის ნამტვრევება ბლომად დასცურავსო. აქ გემის მოსვლას ელიან. სტოკჰოლმისაკენ, აბოსკენ და ჰელსინგფორსისაკენ გემების წესიერი მიმოსვლა დაიწყო.

არხანგელსკი. აპრილის დამლევს და მაისის დამდეგს აქ ინგლისის სამ გემს ელიან.

ჰელსინგფორსი. ფრიდრიხსგამის სანატორიუმში ომში დაჭრილები გაუგზავნიათ.

ტომსკი. უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე გამომცდელი კომისია ვერ შესდგა. გამოცდაზე არც ერთი სტუდენტი არ გამოცხადდა.

ოდესა. საბჭოს დღევანდელ სხდომაში ქალაქის მოურავის თანამდებობაზე იყარა კენჭი ახლანდელმა მოურავმა ზელიონიმ, მაგრამ გაშავდა. კრებამ კანდიდატებად დაასახელა პროფესორი იაროშენკო და ინჟენერი შვენდნერი.

ნიუ-იორკი. პენსილვანიაში სამგზავრო მატარებელი დაეტაკა საქონლის მატარებელს. ორი ვაგონი დინამიტით დატვირთული ყოფილა. დინამიტმა იფეთქა. ორივე მატარებელი დაიმსხვრა, ვაგონები დაიწვა. დაჭრილია 100, მოკლულია 50.

ჟიტომირი. კარგა ხანია, რაც ლაპარაკობდნენ, რომ აღდგომას ებრაელებზე დაცემას აპირებენო. მაგრამ არავის სჯეროდა. შეტაკების მიზეზი ის იყო, რომ ვნების კვირაში ებრაელებმა სეირნობა გამართეს და სოფელ პსისჩის გლეხების დათესილ მიწებზე გადაიარეს. გლეხებმა ისინი კეტებით გამორეკეს, ისე რომ ზოგიერთი ცოცხალ-მკვდარი დაშავდა. ჩხუბი დაიწყო შაბათს პავლიკოვკის მადამოებში, მაგრამ საქმეში ჩაერივნენ მოსწავლე ახალგაზრდობა, პოლიცია და ჯარი და ამიტომ მხოლოდ რამდენიმე სახლის განადგურება მოასწრეს. დაშავდა რამდენიმე ქრისტიანი და ებრაელი—ზოგი რევოლვერის ტყვიით, ზოგი კეტით, ზოგიც ქვით. კვირას საქმე გამწვავდა. ქალაქის განაპირებსა და შუაგულში ხულიგანები დაერივნენ ებრაელებს კეტებით და ქვით, ებრაელნი რევოლვერებს ისროდნენ. საბედნიეროდ, ქალაქში არ შემოუშვეს ახლო-მახლო სოფლების გლეხობა, რომელნიც ათასობით მოდიოდნენ ქალაქელების მისაშველებლად. გუშინ ქალაქის მართვა-გამგეობა გადასცეს ქალაქში დაბანაკებულ ჯარების უფროსს, რომელმაც გააფრთხილა ხალხი, სასტიკ ზომებს მივიღებ და იარაღსაც ვიხმარო.

ამ გაფრთხილებამ გასჭრა. „თეთრ ეკლესიიდან“ დრაგუნთა ორი ესკადრონი მოვიდა. გუშინ მარხავდნენ დახოცილებს ჯარების თანადასწრებით. ეს მეოთხე დღეა, რაც ქალაქი დარეულია და მაღაზიები დაკეტილია. ორი დღე ქალაქში ვერაფერს იშოვნიდით. საზოგადოდ ეს არეულობა საიდუმლოებით არის მოცული. გამოძიება სწარმოებს.

ლოძი. მეპურეების მუშებმა აირჩიეს 12 დელეგატი და წარადგინეს შემდეგი მოთხოვნილებანი: 10 საათის სამუშაო დღე, კვირა-უქმე დღეს დასვენება; ფასის მომატება; შეგირდთა რიცხვის შემცირება და ფურნეებში ბინისა და სადილობის მოსპობა. თუ მეპურეები დასთანხმდნენ, მუშები საქმეს შეუდგებიან. კარლ გოფრიხტერის ქარხანა დღეს დაიკეტა, რადგან ქარხნის ადმინისტრაციის მიერ დანიშნულ სამი დღის ვადაზე, მუშები არ მოვიდნენ. უსაქმოდ დარჩა 270 მუშა.

მინსკი. კალატოზთა გაფიცვა გათავდა. მანქანების მკეთებელ ქარხანა „ტეხნოლოგ“-ში მუშები გაიფიცნენ და რამდენიმე მოთხოვნილება წარადგინეს.

განჯა. დღეს ქალაქი უსადილოდ დარჩა, რადგან მზარეულთა ამქარი კალიის დასახოცად გავიდა. გუშინ დურგალთა ამქარი იყო, დღეს წავა მკერვალებისა.

ნოვოჩერკასკი. მოვიდა დონის ჯარების ნაკაზნოი ატამანი—თავ. ოდოევსკი-მასლოვი.

პეკინი. ჩინეთმა ნოტით მიმართა სახელმწიფოებს და წინადადება მისცა, ბოქსერთა აჯანყების გამო კონტრიბუციას ვერცხლის მაგიერად ოქროთი გადვიხდიო. იანვრის შემდეგ ერთ მილიონ გირვანქას ჯარიმას აგრეთვე ოქროთი გადვიხდიო. სახელმწიფოებმა მოსთხოვეს 1,400,000 გირვანქა ჯარიმის გადახდა. ჩინეთი, მხოლოდ, 1,200,000 გირვანქაზე დასთანხმდა.

პეტროპავლოვსკი. „სტეპნოი კრაი“ იუწყება, საბოლოოდ გადასწყვიტეს ხაზინის ხარჯით ტომსკსა და ტაშკენტს შუა რკინის გზის გაყვანაო.

მოსკოვი, 27 აპრილი. სათადარიგო შტაბს-კაპიტან პისანკოს სადგომში სალაბორატორიო მუშაობის დროს აფეთქება მოხდა. პისანკოს ხელის თითები მოსწყვიტა.

ვარშავა, 27 აპრილი. გენერალ-გუბერნატორს წარუდგა პოლონეთის საზოგადოების დეპუტაცია არქიეპისკოპოსის პოპელის და ლუტერანის კონსისტორიის სუპერ-ინტენდანტის მეთაურობით. რიცხვით 39 კაცი. დეპუტაციამ სთხოვა, ხელმწიფე იმპერატორის ფეხთა წინაშე განაცხადოს მათის ღრმა სიხარულის გრძნობები, სარწმუნოებათა შეწყნარების შესახებ უმაღლესს ბრძანების გამო. გენერალ-ადიუტანტმა მაქსიმოვიჩმა უპასუხა, ბედნიერი ვარ, რომ მათ უდიდებულესობის წინაშე თქვენი გრძნობების გამომთქმელი ვიქნებიო.

ბუდაპეშტი, 29 აპრილი. მემარცხენეთა კავშირისაგან შემუშავებული ადრესი ხმის დიდი უმეტესობით მიიღეს. საქმიან კაბინეტის შედგენას ელიან, მაგრამ პალატა გადაყენებს მას და ამის შემდეგ, ალბად, დათხოვნილი იქნება თვითონ პალატა.

ბერლინი, 28 აპრილი. «კელნიშე ცეიტუნგი» ამტკიცებს, ტყუილია, ვითომც გრაფი ტატტენბახი აპირებდეს მაროკკოში გერმანელ ინსტრუქტორების გაგზავნას. ინგლისურ გაზეთების ცნობით,—გერმანია, მზად არის საფრანგეთს თავისი ადგილები დასავლეთ აფრიკაში დაუთმოს მცირე აზიაში ზოგიერთ უფლების მისაღებად. ოფიციალური გაზეთი „რუდდეიტშე კორესპონდენტი“ აცხადებს, ეს ცნობა ტყუილი არისო.

სოფია, 29 აპრილი. სტამბოლში მყოფი ბულგარიის აგენტი ნაჩევიჩი ამბობს, მაკედონია წრეულს მშვიდობიანად იქმნებაო. ხალხი კმაყოფილია აჯანყებულთა მოქმედებით, რომელიც ხელს უშლის ბულგარიის შეთანხმებას ოსმალეთთან. ნაჩევიჩს სწამს, რომ ნამდვილად შესრულდება ის რეფორმები, რომელსაც მოითხოვს გერმანია, საფრანგეთი და იტალია, და ფიქრობს, სარაფოვისთანა და ცონჩევისთანა მეთაურები უნდა დაატუსაღოსო ადამიანმა.

სტოკჰოლმი, 29 აპრილი. რიგსდაგში რკინაზე ბაჟის შემოღების საქმე განიხილეს. ქვემო პალატამ უარჰყო ეს ბაჟი, ზემო პალატამ მიიღო.

ქრისტიანია, 29 აპრილი. საერო კრებამ მეფე მისტაგ-ადოლფს დაუნიშნა ჯამაგირად 50,000 კრონი.

ბათუმი, 29 აპრილი. გამოცხადდა გენერალ-გუბერნატორის განკარგულება, რომელიც შეეხება კაცის კვლას, დაჭრას, სამსახურის დროს ამაბის განზრახვას, ცეცხლის მოკიდებას, გაძარცვას, მთავრობის მოხელეთა წინააღმდეგობას,—ყველა ასეთი საქმე სამხედრო სასამართლოს გადაეცემა და სიკვდილით დასჯა იქმნება შემოღებული. ეკკლესიებში და საზოგადო კრებებში წესიერების დარღვევის შესახებ საქმეებს გაარჩევს თვითონ გუბერნატორი.

პეტერბურგი, 28 აპრილი. სახელმწიფო ქონებათა სამინისტრომ შეიმუშავა იჯარის გადიდებული პირობები, მოუსავლობის დროს მინისტრის უფლებები დარჩენილ გადასახადის გადადებისთვის.

28 აპრილი.

ვენა, 28 აპრილი. რეიხსრატმა მიიღო სადამოჟნო ტარიფის პირველი განყოფილება—რუსეთიდან და ბალკანეთის კუნძულებიდან შემოსულ თახ-თუხ საქონლის საკითხის მოწეს-რიგება და კუბრის წინადადება, რომ რუსეთთან, სერბიასთან და რუმინიასთან სავაჭრო ხელშეკრულებებში დააწესონ 4 კრონი ბაჟი ქერზე, რომელიც ლუდის გამოსახდელად მიდის.

სტამბოლი, 28 აპრილი. პორტას ჩაბარდა კოლექტიური ნოტა, საიდანაც სჩანს, რომ დიდი სახელმწიფოები მზად არიან მიიღონ ოსმალეთის პროექტი მაკედონიაში საფინანსო რეფორმების შესახებ, მაგრამ უნდა ჩამატოს დადგენილება, რომ მას კონტროლი გაუწიოს სპეციალურ კომისიამ, რომელიც უნდა შესდგეს გერმანიისა, ინგლისისა, საფრანგეთისა და იტალიის მთავარ ინსპექტორისა და დელეგატებისაგან. კრიტოსში მდგომარეობა უარესდება. კონსულები ჯარების გაძლიერებას თხოულობენ. აჯანყებულებმა დაიჭირეს დამოქნები კასტლში, რეტიმნოს აღმოსავლეთით, სადაც ინგლისის კრეისერი წავიდა.

ბარისბურგი, 28 აპრილი. პენსილვანის ექსპრესი ლიანდაგიდან გადავარდა 18 აპრილს და დაეჯახა საქონლის მატარებელს, რომელსაც დინამიტით დატვირთული ორი ვაგონი ჰქონდა მობმული. სამჯერ საშინელი აფეთქება მოხდა: ორივე მატარებელს ცეცხლი გაუჩნდა. ჯერ-ჯერობით აღმოაჩინეს 50 მოკლული. მთელ ქალაქში ფანჯრების მინები ჩალეწილია.

პეტროპავლოვსკი, 28 აპრილი. აღმოაჩინეს მხეცური მკვლელობა ვაჭარ სმეროვისა, რომელსაც მდიდრის და კრიჟანგ კაცის სახელი ჰქონდა გავარდნილი.

ბერლინი, 28 აპრილი. რეიხსტაგის სესსიაში აღიძრა საკითხი კომერციულის, საზღვაო და ნაფიცთა მსაჯულების სასამართლოების გაფართოვების შესახებ. მარცხენა მხარე თხოულობდა, პრესსის საქმეები ნაფიცთა მსაჯულების სასამართლოს გარდაეცესო. ამ წინადადებას მხარი მისცა სოციალ-დემოკრატმა შტიუკლენმა. თუმცა მარჯვენა მხარე და ცენტრი წინააღმდეგნი იყვნენ, წინადადება მაინც მიღებულ იქმნა.

პეტერბურგი, 28 აპრილი. ახალ ადმირალტეისტვოში კანონერის ნავის „გილიაკ“-ის აშენებას შეუდგნენ და ამნაირივე ნავი „რაზვიეცი“ ზღვაში ჩაუშვეს. შეუდგნენ აგრეთვე გალერნის პატარა კუნძულზე ჯავშნოსან „ანდრეი პერვოზვანნი“-ს აშენებას.

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები.

(რუსეთისა და პეტერბურგის სააგენტოებისაგან)

გუნჯულინი. 27 აპრილს გაასამართლეს იაპონელი ჯაშუშები: პორუჩიკი კაბოიასი, ეფრეიტორი კაგო და ორი ჩინელი. კაბოიასმა მიიღო ბრძანება, დაეზვერა ჩვენი ჯარი გირინთან. რადგან იაპონურ ტანისამოსში ის თავის მიზანს ვერ მიაღწევდა, ბრძანება კი ისეთი იყო, რომ ეს დავალება უეჭველად უნდა შეესრულებინა, კაბოიასმა გადასწყვიტა ჩინური ტანისამოსი ჩაეცვა და ეფრეიტორს უბრძანა, ისიც ასე მოქცეულიყო. გირინის სიახლოვეს ისინი დაიჭირა ერთმა ჯარის კაცმა, რომელმაც კაგოს ქუდი მოჰგლიჯა. იაპონელებს და ერთს ჩინელს ჩამოხრჩობა გადაუწყვიტეს, მეორე ჩინელი გაამართლეს. კაბოიასმა სასამართლოს პატიება სთხოვა და, თუ ეს არ შეიძლება, ის მაინც მიიღეთ მხედველობაში, რომ ბრძანებას ვერსად წავუვიდოდიო. კაგომაც პატიება ითხოვა. ორივეს თავი ღირსეულად ეჭირათ. ვექილმა მთავარ-სარდალს თხოვნა მისცა, აპატიეთ სიკვდილით დასჯაო.

შანჰაი. იაპონელებმა გამოაცხადეს, გვინდა გავყიდოთ 22 გემი, რომლებიც პორტ-არტურთან ჩაიძირნენო—„სტანდარტი" ირწმუნება, ინგლისის ერთს გემს კიდევ გაგზავნიან კრიტოსში კრეისერ „ვენიუს"-თან შესაერთებლადაო.

ჰონკონგი. საიგონიდან გამოგზავნილ დეპეშებზე საფრანგეთის მთავრობამ ცენზურა დააწესა.

რიგა, 28 აპრილი. დიდის ამბით ჩაუშვეს წყალში მეორე სანაღმო კრეისერი „კაზანეცი", ფლოტის გამაძლიერებელ კომიტეტის ხარჯით აგებული.

ტოკიო, 29 აპრილი. ხმა გავრცელდა, რომ სუნგარის სრუტეში გამოჩნდა ვლადივოსტოკიდან გამოსული რუსების ორი კრეისერი.

პარიზი, 25 აპრილი. საიგონში ჰონკონგიდან მოსული გემი „ნორდი" ამბობს, გზაში რუსების ესკადრა არ შემხვედრიაო, შემხვდაო მხოლოდ 20 დიდი სატრანსპორტო გემიო.

ტოკიო, 27 აპრილი. მოვიდა ცნობა, ვლადივოსტოკის ესკადრის ორი გემი 26 აპრილს ომარის მახლობლად იყოო.

პარიზი, 28 აპრილი. ტოკიოდან მოსულ ცნობებიდან სჩანს, რომ თავის სიძე ოტროჯისთან ერთად დატუსაღებული ფრანგი ბოგოენი, რომელსაც ჯაშუშობა ბრალდება, წინად ფრეგატის უფროსად ყოფილა. იმის სადგომი გაჩხრიკეს. საფრანგეთის სამხედრო ატტაშე, ბოგუენის ქალის საქმრო, ცდილობს მათ განთავისუფლებას. „მატენ"-ის კოესპონდენტი იუწყება, რუსის ჯარების მდგომარეობა მშვენიერიაო.

შანჰაი, 28 აპრილი. გენზანში სდგას იაპონიის დივიზია, რომლის ერთი ნაწილი მდინარე ტუმენის ჩრდილოეთით მიდის.

საიგონი, 28 აპრილი. ის ცნობა, ვითომ რუსის კრეისერი ,,დიანა'' ზღვაში გასვლას ცდილობდეს, გამოგონილია. გამოგონილია აგრეთვე ისიც, ვითომ საფრანგეთის მთავრობა დაემუქრა, სროლას დაგიწყებთ, თუ „დიანა'' გაქცევას დააპირებსო. ნავთსადგურის მოთხოვნილებით, უმთავრესი მანქანის ნაწილები მოხსნილია, ისე რომ ,,დიანა" იძულებულია ერთს ალაგას იდგესო.

ტოკიო, 28 აპრილი. იაპონიის ფლოტის ყოფილი ლეიტენანტი ივასაკი დატუსაღებულია ბოგუენის საქმეზე. ივასაკი შარშან სამსახურიდან დაითხოვეს. სამსახურის დროს დანაშაულობათა ჩადენის გამო პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ კარგა ხანს იმყოფებოდა. გამოძიებამ აღმოაჩინა მისი უცნაური ქცევა. ბოგუენი კარგა ხანს საპატიო კაცად ითვლებოდა და ორდენიც მიიღო. დატუსაღებულია აგრეთვე ბოგუენის მსახური. იაპონელი ბოგუენის მეგობრები უარ-ჰყოფენ მის დანაშაულობას. ის წინად იყო ტოკიოში სამხედრო ატტაშედ, მერე სამსახურიდან გამოვიდა და ახლა ერთ ფრანგულ საზოგადოების წარმომადგენლად ითვლება.

ტოკიო, 28 აპრილი. გარეშე საქმეთა სამინისტრომ გამოაქვეყნა შემდეგი ცნობა: კამრანის ინციდენტის დროიდან, საფრანგეთმა უბრძანა ინდო-ჩინეთის სამხედრო და სამოქალაქო მთავრობას, საფრანგეთის სამფლობელოს ნაპირებისთვის თვალი ედევნებინათ და საფრანგეთის ნავთსადგურებში მეომარ სახელმწიფოების გემები არ შეეშვათ. როდესაც გაიგეს, რომ რუსის მესამე ესკადრა საფრანგეთის წყლებს უახლოვდება, საფრანგეთმა ინდო-ჩინეთის მთავრობას ბრძანება კიდევ გაუმეორა და უბრძანა, სასტიკი ზომები მიიღეთ, რომ საფრანგეთის ნეიტრალიტეტი დაცულ იქმნესო, რაიც რუსეთსაც აცნობეს. ამავე დროს პარიზში იაპონიის მისსიამაც დეპეშით გვაცნობა, რომ რუსის გემები ხანკოუს ნავთსადგურში ღამე ვერ შეემჩნიათო.

(ღამის დეპეშები იხ. მე-4 გვერდზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან

მომავალი საზღვაო ბრძოლა. ზოგნი ამტკიცებენ, მომავალ საზღვაო ბრძოლას დიდი გავლენა ექმნება ხმელეთის ომზე. „ნ. ფრ. პრ".-ს აზრით, ეს მოსაზრება მხოლოდ იმ შემთხვევაში გამართლდება, თუ ერთ-ერთ სახელმწიფოს ფლოტი პირველ ბრძოლაშივე საბოლოოდ დამარცხდა. თუ ადმირალი როჟესტვენსკი ვლადივოსტოკში მოსვლამდე შეებრძოლა ტოგოს და დამარცხდა, ეს დამარცხება საბოლოო იქნება, რადგან უკანასკნელ თავშესაფარს დაჰკარგავს. თუ ეს ასე არ მოხდა, საბოლოოდ არც ტოგო დამარცხდება და არც როჟესტვენსკი, რადგან თავშესაფარი ორივეს ექმნება, მაშასადამე, გემების შეკეთებასაც მოახერხებენ. ვლადივოსტოკი ფლოტისთვის პორტ-არტურს სჯობია. თუ ადმირალი ტოგო დამარცხდა, იმის საქმე წასული არ იქმნება, რადგან მრავალ სრუტეებისა გამო ტოგო რუსეთის ესკადრის დაქუცმაცებას ადვილად მოახერხებს და დაყოფილ ესკადრებს ცალცალკე დაამარცხებს. ამიტომ შეუძლებელია, რომ რუსებმა მოახერხონ და იაპონიის ჯარს გზა მოუჭრან (რ. ს.).

იაპონიის ელჩის ნაამბობი. „ფრანკფურტერ ცეიტუნგ"-ის თანამშრომელს იაპონიის ელჩთან (შვეციაში), აკიძუკისთან უსაუბრნია. ელჩს უთქვამს: სამხედრო საქმისა ბევრი არაფერი მესმის, მაგრამ დანამდვილებით კი გეტყვით, რომ ამ ახლო მომავალში იაპონიის მხედრობა მოულოდნელს რამეს მოახდენს. ამ ომს რომ იაპონია მოიგებს, ამას დამტკიცება არ უნდაო. (რ.ს.)

ახალი ამბავი

როგორც ჩვენს მკითხველებს მოეხსენება, რუსეთის ყველა ქალაქებში ათასგვარი კრებები იმართება რუსეთის მომავალ ცხოვრების მოსაწესრიგებლად. **ამჟამად მოსკოვში დაარსდა ცენტრალური ბიურო,** რომელმაც უკვე შეიმუშავა სახელმწიფოს მომავალ წესწყობილების პროგრამა და გაზეთ „ნოვოსტის" ხუთ აპრილის ნომერში გამოაქვეყნა. ამ ბიუროს თავისი განყოფილებანი რუსეთის ყველა ქალაქებში ექმნება.

◆ ცხინვალში რამდენისამე დღის წინად ვიღაცას საერობო დარაჯთა ურიადნიკის **დევიატკასთვის რევოლვერი უსვრია** და ხელში დაუჭრია. უცნობი მიმალულა.

◆ ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის მოხელეებმა პეტერბურგელ ამხანაგებისაგან მოლოცვის დეპეშა მიიღეს და აუწყებენ, **რომ მათი პეტიცია დანიშნულებისამებრ გადაეცაო.**

◆ გუშინწინ ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეებს ერევნიდანაც გაუგზავნიათ დეპეშა შინაგან საქმეთა მინისტრისა, მინისტრთა კომიტეტის თავმჯდომარისა და ფოსტა-ტელეგრაფის უმთავრესს მართველობის უფროსის სახელობაზე. აღნიშნავენ რა თავის გაჭირებულ მდგომარეობას, ერევნის მოხელეები აცხადებენ, **რომ უერთდებიან ბაქოსა და ტფილისის მოხელეთა მიერ წარდგენილ თხოვნას.** დეპეშას ხელს აწერს 60 მოხელე.

◆ გუშინწინ, 28 აპრილს, ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეთა ურთიერთ დამხმარებელ კასის წევრებს კრება ჰქონდათ და დაადგინეს: იმ შვიდ კაცს, რომელთაც **პეტიციაზე ხელი არ მოაწერეს, ბოიკატი გამოუცხადონ.**

◆ **ამიერ-კავკასიის რკინის გზების უფროსმა განკარგულება მოახდინა:** ვინც სამსახურს უმიზეზოდ დააკლდება, სამის დღით იქმნება დაპატიმრებულიო.

◆ ამიერ-კავკასიის რკინის «ტიაგის» უფ**როსმა თავისი განკარგულება** მემანქანეთა და მათ თანაშემწეთა თანამდებობის აღმასრულებელთა ჩამოყენების შესახებ **გააუქმა.** ახლად მოსული სამხედრო მემანქანენი მატარებლებზე მხოლოდ გზის შესასწავლად ივლიან.

◆ სოფელ მოხისიდან (გორის მაზრა) გვწერენ: **გლეხთა მოძრაობა აქეთ თანდათან სასურველ მიმართულებას იღებს.** დავიდარაბანი და ათასგვარი საჩივრები, რომელმაც მოძრაობის დასაწყისს გლეხთა შორის თავი იჩინა, ამჟამად სრულიად მოისპო. გლეხთა და მემამულეთა შორისაც თანხმობაა. ამ დღეებში აქ კაზაკთა ერთი რაზმი გვეწვია და სოფელში აპირობდა დაბანაკებას, მაგრამ რამდენმამე აქაურმა მემამულემ და მღვდელმა დაარწმუნეს, თქვენი აქ დაბანაკება საჭირო არ არის, რადგან სოფელში კარგი წესი და რიგი არისო. მეორე დღეს კაზაკთა რაზმი სხვა სოფლებისკენ გაემართა.

◆ დღეს, 30 აპრილს, ქალაქის საბჭოს დარბაზში, საღამოს 8 საათზე, **დანიშნულია საერთო კრება ქალაქის გამგეობაში მოსამსახურეთა.** კრება მოისმენს მათის ყოფა-ცხოვრების გასაუმჯობესებელ ზომების შემმუშავებელ კომისიის მოხსენებას.

◆ ტფილისში არსდება, როგორც სამოქალაქო, ისე სამხედრო უწყების **ფერშალთა საურთიერთო დამხმარებელი საზოგადოება.** 5 მაისს ცენტრალურ სამკურნალოს დარბაზში შესდგება პირველი კრება წესდების პროექტის განსახილველად.

◆ იმ მოსწავლეებს, რომელთაც **დედათა საეპარქიო სასწავლებელში ჯერ კიდევ სწავლა აქვთ,** როგორც გადმოგვცეს, საზაფხულოდ სახლებში წასასვლელად 8 მაისს დაითხოვენ.

◆ როგორც გავიგეთ, 17 აპრილის უმაღლესის ბრძანების ძალით, **ქართველ მოწაფეთა მშობლები აპირობენ შუამდგომლობა აღძრან,** რომ ორივე სქესის ქართველი მოწაფენი, რომლებიც სწავლობენ მთავრობის სასულიერო თუ საერო სასწავლებლებში, განთავისუფლებულ იქმნენ რუსულსა და სლავიანურ ენაზე სამღრთო სჯულის სწავლებისაგან და ეს საგანი ასწავლონ მათ ქართულად, ივერიის მოძღვრების თანახმად.

◆ ამას წინად „ბაკინ. იზვესტია"-ში ახალ ამბად იყო მოყვანილი ცნობა, ვითომ ბაქოს ქართველ საზოგადოების ერთმა ნაწილმა, ბ-ნთ მამულაიშვილისა, ქიქოძისა და სხვათა მეთაურობით, შეადგინა პეტიცია, რომელშიაც ბაქოში მომხდარ ამბების შესახებ პოლიციას ამართლებენ და ეს პეტიცია ნამესტნიკს უნდა წარუდგინონო. **ამის გამო, იმავე გაზეთში დაბეჭდილია წერილი მომრიგებელ მოსამართლის ლ. კ. მამულაიშვილისა და ნაფიც ვექილის თანაშემწის ვ. ქიქოძისა,** რომლებიც, სხვათა შორის, სწერენ: „ეს ცნობა თავიდან ბოლომდე სიცრუეა და, როგორც ჩვენ ვგონებთ, ისე ყველა ქართველმა, თქვენის გაზეთიდან პირველად გავიგეთ ამ უაზრო პეტიციის ვითომდა არსებობა. არამც თუ პეტიციის შინაარსზე, თვით პეტიციაზედაც არავითარი ლაპარაკი არ ყოფილა და არც არავის აზრად მოსვლია, ნამესტნიკს რაიმე პეტიცია მიართვას, ამიტომ გვიკვირს და გვაოცებს ხსენებულ ცნობის ავტორის მოურიდებლობა, რომელმაც ასე უსირცხვილოდ ამ უცნაურ პეტიციის ინიციატორებიც კი დაასახელა. იმ აუარებელ სიცრუესა და სიყალბეს, რომლითაც მოცულია 6—9 თებერვლის ამბები, ძმობის იდეის ყოველგვარ მებრძოლთ მიუმატეს ახალი სიცრუე; ამ ცნობის მომტანის სვინიდისს მივანდობთ, გადასწყვიტოს, ამგვარი ურცხვი ცნობა რამდენად შეუწყობს ხელს ბაქოს საზოგადოების ხვადასხვა დასთა დამშვიდებას და რამდენად ამჟღავნებს 6—9 თებერვლის ამბებზე ქართველ საზოგადოების სამართლიან შეხედულებას. დასასრულ ჩვენ ვთხოულობთ, რომ რედაქციამ გვიჩვენოს ის წყარო, საიდანაც იმან ამოიღო ეს უბრალო ცნობა, და აგვიხსნას, რა საბუთებით ხელმძღვანელობდა, რომ თავის თავს ნება მისცა და ამ ზღაპრულ პეტიციის შესახებ ხმები გამოაქვეყნა".

◆ გრენადერთა ქვეითა ჯარის დივიზიის უფროსი სთხოვს ტფილისის მაზრის უფროსს, შეატყობინოს ს. შინდისისა (კრწანისის თავზეა) და ახლო-მახლო სოფლების მცხოვრებლებს, რომ **30 აპრილს კრწანისის მიდამოებში, იაგორ ნავთიკოვის მიწებზე, დაიწყება სამხედრო ვარჯიშობა** და გამოცდა ახალ სისტემის თოფებისა და გააფრთხილოს მცხოვრებნი, არ გაიარონ იმ მიდამოებზე, რომლის გარეშემოც იქნება დასმული ნიშნები, რათა არავითარი უბედურება არ მოხდეს, აგრეთვე ნაბძანები აქვს ჯარის კაცებისათვის, რომ ყოველ შემთხვევაში ფრთხილად ისროლონ ხოლმე.

◆ ქალაქ შუშიდან გვატყობინებენ, 28 აპრილს გზაში **მოჰკლეს ალდამში მიმავალი ალდამის ნაწილის ბოქაული მ—ჩი.** მოკლული წინა დღეს შუშაში მისულა ჯამაგირის მისაღებად და მეორე დღეს, უკანვე დაბრუნებულს, თან ახლდა ორი სტრაჟნიკი. შუშიდან ოთხი ვერსი რომ გაუვლია, ვიღაცეებს თოფის სროლა აუტეხნიათ, ბოქაული ცხენიდან გადმოვარდნილა და იქვე მომკვდარა, ერთი სტრაჟნიკი ხელში დაჭრილა. სტრაჟნიკები გაქცეულან. მაშინ მკვლელები მისულან მოკლულთან და თავში კიდევ ოთხჯერ დაუჭრიათ. გამოძიებას ჯერ მკვლელები ვერ აღმოუჩენია.

◆ **სპარსეთის შაჰი** 26 მაისს ბალაჯარაში მოვა, საიდანაც რუსეთის რკინის გზით საზღვარ გარედ გაემართება. საიმპერატორო მატარებელი ვარშავის რკინის გზიდან დაუბარებიათ.

◆ ორიენტალისტთა საერთაშორისო კონგრესზე ალჟირში, მრავალ მოხსენებათა შორის, განიხილავთ ქ-ნ **ოლღა ლებედევის რეფერატი ქართველების გაქრისტიანების შესახებ,** თანახმად ერთ არაბულ ხელთ-ნაწერისა, რომელიც მ-ს ფრანგულ ენაზე გადაუთარგმნია და დაუბეჭდვინებია კიდეც. თარგმანში მოყვანილია საქართველოს წარსულისა და აწმყოს მოკლე მიმოხილვა. ავტორის აზრით, რომელსაც ის ბერძნების ისტორიკოსის ჰეროდოტის გამოკვლევებზე ამყარებს, ქართველები ეგვიპტედან გამოსულანო (ნ. ო.).

◆ რადგანაც **უსახელო საზოგადოების მოსამსახურენი თავისს მმართველობასთან ვერ მორიგდნენ,** ყველანი დღეიდან სამსახურს თავს ანებებენ.

◆ **ოქონის ხეობიდან (ქართლი) გვატყობინებენ:** აღდგომის წინა კვირას ბოქაულმა დარაჯთა რაზმით დაიარა სოფლები და სოფლების მიერ გაუქმებული სასოფლო კანცელარიები ხელახლავ გაახსნევინა. გლეხთა ყრილობის-მიერ გადაყენებულ მამასახლისებსა და მწერლებს ძველებური უფლება დაუბრუნდათ. ბევრგან გლეხებმა მოითხოვეს, სხვა დაგვინიშნეთ მამასახლისად, ის არ გვსურს, რომელიც დღეს არისო. ბოქაული ამ მოთხოვნის შესრულებას დაჰპირდა. გლეხები, ჯამაგირის მიცემაზე თითქმის ყველანი უარს ამბობენ.

◆ გუშინ, 29 აპრილს, $3^1/_2$ საათზე, ტფილისში **ექსპრესით ჩამოვიდნენ** კავკასიის ნამესტნიკის საპოლიციო ნაწილის თანაშემწე გენერალ-მაიორი შირინკინი და ნამესტნიკის კანცელარიის დირექტორი გენერალ-მაიორი ტროფიმოვი. სადგურზე დაუხვდნენ ყველა ნაწილის უფროსნი და ქალაქის წარმომადგენელნი.

◆ 28 აპრილს **შორეულ აღმოსავლეთში** სამსახურისათვის გაჰგზავნეს **ოთხი ქართველი კონდუქტორი:** ფილიპე ჯალაღანია, ნესტორ გოგიჩაიშვილი, ვანო ვაბაგაშვილი და ივანე ბაბლიძე.

◆ როგორც შევიტყეთ, მეჯვრიხევის ქსენონის ექიმი თ. პ. ბურჯანაძე **ექიმად შორეულ აღმოსავლეთში იგზავნება.**

◆ „მშაკ" შუშიდან ატყობინებენ: **ადგილობრივ რეალურ სასწავლებელში სწავლა შესწყდა.** მე-VI და მე-VII კლასების მოწაფენი, რომელნიც ეგზამენების ჩასაბარებლად ბაქოში წავიდნენ, ისევ უკან დაბრუნდნენ.

◆ გაზეთ «მშაკ»-ს ერევნიდან ატყობინებენ, ქალაქის საბჭოში 404 კაცის მიერ ხელმოწერილი ქაღალდი შეიტანეს, სადაც ერევნის მცხოვრებლები თხოულობენ, ამჟამად პეტერბურგში მყოფმა ქალაქის მოურავმა **მელიქ-აღამალოვმა მთავრობასთან იშუამდგომლოს,** რომ ტფილის-ჯულფის რკინის გზა გაყვანილ იქმნას შიგ ერევანში და არა 17 ვერსის სიშორეზე, როგორც ეს პროექტში არის აღნიშნულიო. საბჭომ ეს თხოვნა პეტერბურგში ქალაქის ქალაქის მოურავს გაუგზავნა.

◆ გუშინ, 29 აპრილს, წყნეთის ქუჩაზე, მშობიარეთათვის განყოფილების გვერდზე, **ინჟენერ კარაკოზოვის სახლში, შემდეგი ამბავი მოხდა:** დილის 11 საათზე კარაკოზოვის ბინაზე მივიდა ნაფიცი ვექილი ა. ს. ჩიმიშკიანი, მეორე ოთახში გამოიხმო ინჟენერის ცოლი და, მცირე ლაპარაკის შემდეგ, ორჯერ ბრაუნინგის სისტემის

ფელეტონი

დიდი ვარმის შესახებ

შევიკრიბენით ტფილისელი პედაგოგები ბზობის წინა დღეს და ვინატრეთ თავისუფალს რუსეთში თავისუფალი სკოლა. ხომ უმანკო და სიმპატიური ნატვრაა? მაგრამ კრებას დაესწრო მხოლოდ ქართველები და სხვებმა კი ვერ გაბედეს მოსვლა. არ დაესწრნენ საშუალო სასწავლებლის მასწავლებელნი, გარდა სათავად-აზნაურო სკოლისა. მხოლოდ იყო ორიოდ-სამი, მაგრამ ისმენდნენ სხვის ნალაპარაკევსა, თვითონ კი მუნჯად იდგნენ და, როცა ხელის მოწერაზე მიდგა საქმე, გაიპარნენ, რათა მეორე დღეს მოხსენება წარუდგინონ თავის მომავლინებელთ. რუსთაგანი თავიდან ბოლომდე მხოლოდ ერთი იყო, მაგრამ ნიჭიერი, ფრიად განვითარებული და გაბედული ბ-ნ ცვეტნიცკის მიერ წაკითხული დახასიათება რუსეთის სკოლისა დაწერილი იყო ღრმა ცოდნით, ნამდვილი ნიჭით და იშვიათის გულწრფელობით.

დიაღ, არ დაესწრნენ რუსები, ქართველებთან ერთად არ ისურვეს განთავისუფლებულს რუსეთში განთავისუფლებული სკოლა. რატომ? განა მათთვისაც სასარგებლო არ აქნება ეს თავისუფლება? რასაკვირველია, იქმნება. მაშ რად მოერიდნენ კრებასა? ალბად თავისი პრინციპალების, ბატონების შიშმა ჩაუკლა მათ გულში ნატვრა ყურმოჭრილი ყმობისაგან განთავისუფლებისა. მაგრამ იმ პედაგოგებს რაღამ დაუშალა, ვინც პირდაპირ არ ექვემდებარება ამ ვაჟბატონებს, რომელთაც სრულიად უშიშრად შეეძლოთ საზოგადო ნატვრის მომხრეობა? რატომ კრებას არ დაესწრნენ ის სომეხთა პედაგოგები, რომელნიც ტფილისის თვითმმართველობის ხელქვეითნი არიან? სომეხთა შორისაც გამოკლებას შეადგენდა ბ-ნ ცვეტნიცკისავით, ბ-ნი—ბაბოვი. ამ ორმა პირმა გადაარჩინა დიდს სირცხვილსა და სახელის გატეხას ორივე ეროვნება.

ამ სახით თუ რუსეთის სკოლა ეღირსება თავისუფლებას, ქართველობას შეუძლიან თამამად სთქვას: განახლებულ სკოლის მოპოების საქმეში ჩემი წერილიც ურევიაო.

დიდ შეცდომად უნდა ჩაეთვალოთ იმათ, ვინც განზე გადგნენ და საზოგადო ფერხულში არ ჩაერივნენ. თავისუფალი სკოლა რუსეთში აუცილებელი გარემოებაა, უსაჭიროესი პირობა თავისუფალი სკოლისა კავკასიაში. თუ რუსეთში სკოლა დარჩება აწინდელს მონობაში, ჩვენშიც იგივე მონობა შეურყეველი დარჩება. თუ რუსეთმა ვერ აიცილა თავიდან ეს მომაკვდინებელი სენი, ჩვენშიაც იმძვინვარებს. იქნება სომხები ფიქრობდნენ: ეკკლესიის მამულებს დავიბრუნებთ, გავხსნით ისევ სამრევლო და კერძო სკოლებს და ჩვენს ჰკუაზე ვაწარმოებთო, რაც უნდა მოხდეს რუსეთშიაო. ამაო ფიქრია, ფუჭი იმედია. თუ რუსეთის სკოლაში აწინდელი რეჟიმი დარჩება სწავლა-აღზრდისა, მთავრობა იმავე რეჟიმს დაამყარებს სომხურს სამრევლო და კერძო სკოლებშიაც. ყველა რუსეთის ჭირი ჩვენც გვედება, ჩვენს სენადაც იქცევა ხოლმე. ამის გამო მოწინავე რუსეთს ყოველთვის მხარი უნდა მივცეთ, როცა იგი სცდილობს აიცდინოს თავიდან რომელიმე სენი, რომელიმე უკუღმართი წეს-წყობილება. ამას მოითხოვს ჩვენი სიკეთე, ჩვენი მომავალი ბედნიერება.

აი, რისთვის ყოველი კეთილ-გონიერი კავკასიელი პედაგოგი უთუოდ უნდა დასწრებოდა ხსენებულს კრებას, ბანი მიეცა მობაასეთათვის, ხელი მოეწერა გადაწყვეტილებაზე და ამით ეთქვა: მეც მონატრული ვარ თავისუფალის სკოლისა თავისუფალს რუსეთშიო.

მაგრამ დამსწრეთ შევასრულეთ მხოლოდ ერთი ნახევარი ჩვენი მოვალეობისა. მეორე მისი ნახევარი დღემდის კისერზე გვაწევს და თხოულობს სისრულეში მოყვანასა.

რაში მდგომარეობს ეს მეორე ნახევარი ჩვენის მოვალეობისა?

მოგახსენეთ, რომ ყოველი სენი რუსეთისა ჩვენც უსათუოდ გადმოგვედება ხოლმე. ყოველი მისი ჭირი ჩვენ ჭირადაც გადიქცევა ხოლმე. მაგრამ, ჩვენდა საუბედუროდ, იგივე არ ითქმის სიკეთის შესახებ. ბევრი სიკეთე რუსეთისა ჩვენ სიკეთედ არ გადაქცეულა, ბევრი რეფორმა კავკასიონის ქედს ვერ გამოსცილებია. ეს ქედი, ადვილი გადმოსალახავი ყოველი ცუდისათვის, გადმოუვალ საზღვრად შეიქნება ხოლმე სიკეთის გადმონერგვისათვის. რუსეთმა მიიღო ერობა, ნაფიცთა სამართალი, დაარსა საგლეხო ბანკები და სხვანი. ჩვენ კი არც ერთი ეს დაწესებულება არ გვღირსა. სკოლის შესახებაც შეიძლება ესევე მოხდეს. რუსეთში სკოლამ შეიძლება მოიპოვოს თავისუფლება, ჩვენებური სკოლა კი ისევ მონობის უღელ ქვეშ დარჩეს.

ჩვენ აგრეთვე მოვისურვეთ, გულით ვინატრეთ პარლამენტის დაწესება რუსეთში. ოღონდაც რომ პარლამენტი დიდი ღვთის წყალობაა რუსეთისათვის, დიდად ხელს შეუწყობს მის წინსვლას, წარმატებას, განავითარებს,ააყვავებს. მაგრამ ამ სიკეთეს ჩვენც მოგვიტანს რუსეთის პარლამენტი?

ჩავიხედოთ ისტორიაში.

თავისუფალს ინგლისს თავისუფალი პარლამენტი აქვს აგერ რამდენიმე საუკუნის განმავლობაში და ამ პარლამენტმა კეთილდღეობით აავსო თვით ინგლისი. მაგრამ ირლანდია კი იმდენად შებორკა, იმ ზომამდე შეავიწროვა პარლამენტმა რომ მცხოვრებთა რიცხვმა ერთი-ორად იკლო მასუკან, რაც ამ, ესრედ წოდებულ, „ზურმუხტის კუნძულზე" გაბატონდა ინგლისის პარლამენტი. უარესიც დაემართებოდა საწყალ ირლანდიას და ბედნიერ დღეზე ვეღარც კი იოცნებდა, თუ ამერიკაში გადასახლებულს და გაძლიერებულს ირლანდიელებს მხარი არ მიეცათ თავისი დაჩაგრული მოძმეებისათვის და მედგარი, შეუპოვარი და შეუწყვეტელი ბრძოლა არ გამოეცხადებინათ ინგლისისათვის, აღსადგენად, ირლანდიის თვით-მართველობისა, ავტონომიისა.

გადმოვაბიჯოთ ინგლისიდან პრუსიაში და კიდევ უფრო უდიერს გაბატონებას ვიხილავთ მთავარის ერისა დამორჩილებულს ერზე პარლამენტის საშუალებით. პრუსიას, როგორც მოგეხსენებათ, საკუთარი პარლამენტი აქვს, რომლის წევრებად ითვლებიან განთქმულნი მეცნიერნი, პოლიტიკურნი რადიკალნი. და ეს პარლამენტი **რადიკალურად** მიწასთან ასწორებს პოზნანის პოლონელებს, რომელიც შეადგენს აღმოსავლეთის ნაწილს პრუსიის სამეფოისას, მართალია, ამ პარლამენტში პოზნანელ პოლონელებსაც ჰყავთ თავისი დეპუტატები; მაგრამ ისინი ვერაფერს აწყობენ, რადგანაც თითო ას სულს ნემენცზე მოდის მხოლოდ ორიოდე პოლონელი.

ვენგრია არ შეადგენს საკუთარ სახელმწიფოს; მაგრამ მას აქვს საკუთარი პარლამენტი. და ეს პარლამენტი ისევე ავიწროებს მასთან შეერთებულს ხორვატებს, როგორც პრუსიელები პოზნანელ პოლონელებს.

ერთი სიტყვით, წარსული და აწმდგომი სახელმწიფოებისა მჭერმეტყველურად გვამცნებს: ყოველს პარლამენტში გამეფებულია მთავარის ერის ეგოისტური მიმართულება, ვიწრო ნაციონალიზმი, და ის ერი სარგებლობს თავისი დეპუტატების სიჭარბით, რათა შეავიწროვოს, შებორკოს შეასუსტოს, დაამციროს და მიწასთან გაასწოროს შემოერთებულნი, რიცხვით მცირენი ერნი და სამაგიეროდ გააძლიეროს თავისი თავი, აალორძინოს შემოერთებული ერების ავლადიდება თვითონ დაისაკუთროს და სიმსუქნით აივსოს.

ამ მხრივ ყოველი პარლამენტი, მეტად სასარგებლო დაწესებულება მთავარი ერისათვის, გამოდის მავნებელ სალაყბოდ (გოვორილნიად, დობროლიუბოვისა არ იყოს) შეკავშირებულის მცირე ერებისათვის,—სალაყბოდ, სადაც სოფისტიურად ამართლებენ მთავარის ერის წარმომადგენელთამიერ მცირე ერების ძარცვა-გლეჯას, თავის ნაციონალურს რაზბოინიკობას, ავაზაკობასა.

ეს მიმართულება ცენტრალურის პარლამენტისა სულთამხუთავ მაჯლაჯუნასავით აწვება მეტადრე მცირე ერთა სკოლასა. ამ სკოლაში ცენტრალური პარლამენტი ამეფებს მთავარის ერის ენასა, სდევნის და საშინლად ავიწროებს ქვეშევრდომის ერის ენასა, სკოლას ჰხდის პოლიტიკანურს დაწესებულებად, სადაც მცირე ერის მოზარდ თაობას, უცხო გაუგებარ ენაზე სწავლების წყალობით გონებას უხშობს, უსუსტებს, სჩაგრავს, უკარგავს მხნეობას, უკლავს უნარსა და ამზადებს საბოლოოდ მთავარის ენის ფარფაშობას მცირე რიცხოვანის ერის ტერიტორიაზე, მიწა-წყალზე.

რა გვარ მონობაში ამყოფებს პრუსიის პარლამენტი პოლონელთა სკოლას პოზნანში, ყველას გაგებული გვაქვს. რა გვარად სჩაგრავდა და სჩაგრავს თვით საფრანგეთის რესპუბლიკის დემოკრატიული პარლამენტი არაბულს ენასა და არაბულს სკოლასა, ესეც ყველამ უწყის. მაგრამ იქნება ზოგმა მაინც არ იცოდეს, რომ ეს დემოკრატიული პარლამენტი, მაღიარებელი თანასწორობისა, ძმობისა და თავისუფლებისა, ნებას არ აძლევდა და არც აძლევს ბრეტონელებს, თავისს დასავლეთის მოძმეებს, რომელნიც ლაპარაკობენ კელტურს ენაზე, ჰქონდეთ თავისი ეროვნული სკოლა. და თუმცა ამ ეროვნულის სკოლის და ენის უარყოფა თვითონ საფრანგეთსაც სჯიდა იმ მხრივ, რომ უვიცი ბრეტონი აგზავნიდა უმეტეს ნაწილად დეპუტატებად რეტროგრადებს საფრანგეთის პარლამენტში, რომელნიც უშლიდნენ ამითი წინსვლელობას მთელ საფრანგეთსა. მაინც ეროვნული სკოლა საფრანგეთის პარლამენტმა არ მიანიჭა ბრეტონსა.

თუ ევროპიდან ამერიკაში გადავალთ, იქაც ვიხილავთ საშინელს ეგოიზმს რესპუბლიკის კონგრესისას. ამ კონგრესმა მიწასთან გაასწორა და თითქმის ამოფხვრა ადგილობრივ წითელ-კანიანი ხალხები. რომელნიც უსათუოდ თავისებურს წვლილს შეიტანდნენ კაცობრიობის კულტურის სალაროში, თუ მათ სამართლიანობით მოჰქცეოდა შეერთებულის შტატების კონგრესი და მიეცა შეძლება დაუბრკოლებელის განვითარებისა...

მე უფრო მეტს ჭეშმარიტებასაც მოგახსენებთ: თვითმპყრობელი ხელმწიფე შეიძლება იყოს კაცმოყვარე, მაგრამ ცენტრალური პარლამენტი კი ყოველთვის ყოფილა და არის გამომხატველი და წარმომადგენელი მთავარის ერის ეგოიზმისა. გამსჭვალული მთავარის ერის სიკეთით, ხსენებული პარლამენტი იჩენს უსულგულობას მცირე ქვეშევრდომ ერების შესახებ, შეუწყნარებელ, უკიდურეს უსამართლობასა. და ამ უსამართლობისა არც კი რცხვენიან, რადგანაც საპარლამენტო კოლლექტივიზმი სრულიად სპობს პირად ზნეობრივს პასუხის გებასა. უგულობა და უსირცხვილობა ყოველგვარი ცენტრალური პარლამენტისა მცირე ერის შესახებ ნამდვილი ფაქტია,—ფაქტი საყოველთაო, სამწუხარო და მეტად საგულისხმიერო.

თუ ასეთს ნაციონალურს ეგოიზმსა და შეუწყნარებლობას იჩენს ცენტრალური პარლამენტი განათლებულს ევროპასა და ამერიკაში, მით უმეტესად უნდა მოველოდეთ ამასა რუსეთის ცენტრალური პარლამენტისაგან, სადაც დიდი უმრავლესობა დეპუტატებისა კუთვნილება იქნება მთავარი ერისა და სადაც სუვორინებს, კრუშევანებს, მეშჩერსკებს, კატკოვებსა და სხვა რეტროგრადებსა ბანს მისცემენ ჩვენის გარუსების შესახებ. ის რუსებიც გაიძახიან: ძირს პატარა ერთა ნაციონალიზმი და ავტონომიაო.

ეს ცენტრალური რუსეთის პარლამენტი ჩვენ შესახებ არამც თუ არ შეასუსტებს იმ სულთამხუთავ რეჟიმს, რომელიც გაბატონა რუსეთის ბიუროკრატიამ, არამედ კიდეც გააძლიერებს: სკოლაში გამეფებული დარჩება რუსული ენა და განდევნილი დედა-ენა. ქართველებს არც სასამართლოში და არც ადმინისტრაციაში ჯეროვანი ადგილის დაჭერას არ ალიარებს და განაძლიერებს იმ პოლიტიკას, რომელსაც რუსეთიდგან გადმოსახლებულის რუსის მუჟიკების საშუალებით მიზნად აქვს გარუსება საქართველოსი. საქართველოსი-მეთქი, იმიტომ მოგახსენებთ, რომ ეს პოლიტიკა ქართველებს კი არ არუსებს, არამედ სწადიან გარუსება ტერიტორიისა, მიწა-წყლისა, ქართველთა მესაკუთრეთა შემცირება და ბოლოს გაქრობაცა. ამგვარს პოლიტიკას ადგია პრუსიის პარლამენტი პოზნანის, შესახებ და ბავშობა იქნება ვიმედოვნოთ, რომ რუსეთის პარლამენტი არ იკადრებს ჩვენ შესახებ ამისთანავე უდიერებასაო. განსხვავება მხოლოდ ის იქნება, რომ ჩვენ ვერ გაუწევთ იმ მედგარს წინააღმდეგობას საქართველოს გარუსების შესახებ, რომელსაც უწევენ პრუსიას პოზნანის პოლონელნი, ჩვენზე უფრო განათლებულნი, მხნე-

რევოლვერი ესროლა. ერთი ტყვია აცდინა, მეორე კი გულში მოარტყა, მაგრამ ქალი მაინც სასიკვდილოდ ვერ დასჭრა. შემდეგ ჩიმიშკიანმა თვითონ გულში დაირტყა რევოლვერი და თავი მძიმედ დაიჭრა. ჩიმიშკიანი მიხეილის საავადმყოფოში გაგზავნეს, კარაკოზოვის ცოლი კი თავის სახლშივე დააწვინეს და ექიმი მიუჩინეს. ჩიმიშკიანი ცოლშვილიანი კაცია.

✦ ამჟამად **ტფილისში იმყოფებიან** მთელს რუსეთში ცნობილი პეტერბურგელი ვექილები გესსენი (ჟურნალ „პრავო“-ს რედაქტორი) და კამინკა და მოსკოველი ვექილები ტესლენკო და სტალი.

✦ ტფილისის მოქალაქეთა გამგეობამ **განსაკუთრებულ კომისიას მიანდო, გამოიკვლიოს**, რა ტიპის სასწავლებლი დააარსოს იმ 5,000 მანეთით, რომელიც ხელმწიფე მემკვიდრის დაბადების სახსოვრად გადიდო

✦ სამშაბათს, 3 მაისს, ქალაქის გამგეობაში **შესდგება კერძო კრება ხმოსან-ტეხნიკოსთა** „ჰელიოსის“ მიერ ქალაქის განათების შესახებ წარმოდგენილ პროექტის განსახილველად.

✦ მიწად-მოქმედების და სახელმწიფო ქონებათა მინისტრის **რწმუნებულის განკარგულებით**, ამ მოკლე ხანში სახელმწიფო სახაზინო საძოვარ ადგილებისა და სხვაგვარ სახელმწიფო მიწების ასაწერად და მათის რაოდენობის გამოსაკვლევად ახალციხის, ახალქალაქის, ბორჩალოს, თელავის, თიანეთისა და ტფილისის მაზრებში იგზავნება მთელი პარტია მიწის გამზომველებისა, უფროს გამზომველის ბ-ნ მაროზოვსკის ხელმძღვანელობით და უფროს ტოპოგრაფების ბ-ნთ სავენკოსა და ჩერსკის მონაწილეობით.

✦ ტფილისისა და ბორჩალოს მაზრებში მთავრობა **ჰგზავნის მიწის მზომელთა ორ დასს**, რომელთაც მიწების დამიჯვნის საქმის მოწყობა-მოწესრიგება დაევალათ; ბორჩალოს მაზრის მიწის მზომელთა დასს მეთაურობს თავ. მ. ვ. მაჩაბელი, ხოლო ტფილისისას—მარკოვი.

✦ პეტერბურგიდან იუწყებიან, შინაგან საქმეთა სამინისტროს **უმთავრესს სამკურნალოს ინსპექტორის თანაშემწე დ. ს. ს. მალინოვსკი იგზავნება** იმის გასაგებად, თუ ვოლგაზე მდებარე გუბერნიებსა და კავკასიის რკინის გზებზე რა ზომებია მიღებული ხოლერასთან საბრძოლველადაო.

✦ კვირას, 24 აპრილს, საღამოს 8 საათზე, ზაქათალაში რამდენსამე კაცს განუზრახავს ადგილობრივ **ტეხნიკის საზრანოვის მოკვლა**, მაგრამ მხოლოდ მუხლში დაუჭრიათ. საზრანოვს ექვსჯელ უსროლია რევოლვერი, მაგრამ მკვლელებისთვის ვერ მოუხვედრებია („მშაკ“).

ქუთაისის ცხოვრება

საურთიერთო ბანკის საქმეები.

24 აპრილისათვის ხელმეორედ მოწვეულმა ბანკის ორასამდე წევრმა მოიყარა თავი. მოსულთა შორის უმრავლესობა ძველი გამგეობის ოპოზიციიდან იყო ძველ გამგეობასაც სრულიად მოეყარა თავი რჩევის წევრებიანათ. მათ, რასაკვირველია, აინტერესებდა ამ დღის განაჩენი, რამაც მათი სულიერი მდგომარეობა წინანდელ კრებაზე უფრო აღაშფოთა.

კრება, როგორც წინად, დღესაც თავმჯდომარის ამორჩევამ გაამწვავა. ბევრი კამათის შემდეგ, თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა ბ-ნი კვირკველია.

კრება დაიწყო ახალის რჩევის მოხსენებით წლიურ ანგარიშის შესახებ, რომელიც გვიჩვენებს, რომ 1905 წ. ბანკს 25 წელი შესრულებია არსებობისა და მას ჰყოლია 1579 წევრი, რომლის უზრუნველყოფილი თანხა უდრის 1.416,465 მ.; ამ წლის საერთო «აბაროტი» ყოფილა 25.568,966 მან. ამაში კასის მოძრაობა გამოიხატა 6.753,864 მ. ვადიანი და უვადო შემოსატანი ფული უდრიდა 445,319 მ. ვექსილებით 1 იანვრისათვის ითვლებოდა 341,823 მან. პროტესტ ნაქნარი და ვადა-გადაცილებული ვექსილები ყოფილა 235,735 მ., რომლებიდანაც დაუხსნიათ 73,254 მ. და ზარალში ჩაურიცხავთ 162,481 მან.

საერთო ჯამი ბანკისაგან გაცემულ სესხისა, რომელიც უზრუნველყოფილია სხვადასხვა საქონლითა და კვიტანციებით, 1 იანვრისათვის ყოფილა 216,703 მ. ვექსილების გადაგირავებით და მიმდინარე სპეციალურ ანგარიშით ბანკი დავალიანებული ყოფილა 327,112 მ.; სხვადასხვა მოვალეებისაგან სასამართლოს წესით საწარმოებ საქმეებისაგან შემოსულა 9,552 მ., დარჩება კიდევ 33,190 მან.

ამ ციფრებს შემდეგ, რჩევის წარმომადგენელნი ასეთი დასკვნით აბოლოვებენ თავიანთ მოკლე მოხსენებას: რადგანაც შავი ქვის ფასმა შედარებით აიწია, ბანკის გამგეობა ენერგიულად ახდევინებს საზოგადოების წევრებს ვალებს ვადაგასულ და პროცენტ ქმნილ ვექსილებით, და საზოგადოების ზარალის შევსება უკვე დაიწყო [1]). ბანკის რჩევას სრული საბუთი აქვს დარწმუნებული იყოს, რომ საზოგადოების მდგომარეობა საიმედოა და ახლო მომავალში სრულიად აღდგენილ იქნება ჩვენი ბანკის საქმეების ნორმალური მიმდინარეობა. ამ მოხსენებას ხელს აწერენ: თავმჯდომარე ივლიანე ანჯაფარიძე და წევრები: რაფიელ რიჟინაშვილი, პეტრე გოგილოვი, კონსტანტინე გოცირიძე და დავით კვირკველია. ამ იმედმა ყველა გაახარა.

შემდეგ გამგეობამ განსახილველად წარმოუდგინა კრებას სხვადასხვა თხოვნები. აქ ზოგი თავნი ვალიდან ნაწილის პატიებას ითხოვდა, ზოგი ცოტაოდენ დარჩენილ ვალისას, ზოგი იხვეწებოდა, ვალი თუ გადაგიხადოთ, სარგებელი გვაპატიეთო და სხ. მისთანები. მაგ., ივანე კაუხჩევის ქვრივი დარჩენილ ვალის 105 მ. პატიებას ითხოვდა, რაც უკვე აპატიეს. სხვა მთხოვნელთა შესახებ იმ აზრს დაადგნენ, რომ ძველ მოვალეებს მივცეთ შეღავათი ვალს ნაწილ-ნაწილად შემოტანისა $^0/_0$-თან ერთად და ამ გაჭირვების დროს ამნაირად გავუნაღდოთ ბანკს თავისი ფულიო.

ბეს. გაბუნია კი, როცა ზოგიერთ ყოფილ მოსამსახურეების დაჯილდოებაზე კითხვა ჩამოვარდა, პროტესტს აცხადებს. ამ საჩუქრებმა დაღუპა ჩვენი საქმე, იგი აქ ჩვეულებად გადაქცეთ და წარამარა ყველას ასაჩუქრებდნენო, ხოლო ღირსეულთა დაჯილდოების (მაგ., ყოფილ კასირის ს. კილაძისათვის, რომელსაც ამ თანამდებობისთვის თავი გაანებებინეს მისგან დამოუკიდებულ მიზეზების გამო, მისცეს 4 თვის ჯამაგირი) წინააღმდეგი მე ახლაც არ ვარო. დავით წულუკიძემ (ესეც კასირი იყო აქ) კი ამას კიდევ სხვა საყვედურიც დაუმატა: ღირსეულს, რა თქმა უნდა, ჯილდო ეკადრებათ, მაგრამ მაგარი აქ ისაა, რომ ბევრი ძველი მოსამსახურე აქედან ისე უპატივცემულოდ დაითხოვეს, როგორც უბრალო ნოქარს ან მუშას არ დაითხოვს თავისი ადაო. ერთ მშვენიერ დღეს მივედით სამსახურში, დაგვყრევინეს საწერ-კალამი და გვითხრეს: დღეიდან აღარ გვინდიხართ, მიბძანდითო. არც წინდაწინ გაგვაფრთხილეს, არც რამდენისამე თვის ჯილდო, როგორც ეს ყველგანაა მიღებული, და ყველა ასე შეურაცხყოფილი გამოგვისტუმრეს. ეს საკადრისი არ იყო ბანკის გამგეობისათვის და თუ დღეს ვინმე მათგანი, რომელსაც ადგილიც კი ვერ უშოვნია ჯერ, ითხოვს თორიოდ გროშს, სწორედ უნდა მიეცეს.

შემდეგ ალ. კრანიცკამ გადასცა კრებას ქართულად დაწერილი დასაბუთებული მოხსენება იმ კომისიისა, რომელიც დეკემბრის კრებაზე აირჩიეს ძველი გამგეობის მიერ ნამოქმედარ საქმეების გამოსარკვევად. კომისია თავის დასკვნაში ამბობდა,—რადგან ძველი გამგეობის მეოხებით ამდენი ზარალი მიეცა ბანკს და რადგან ოქმებისა და ქაღალდების გაჩხრეკამ აღმოაჩინა, რომ იქ რჩევას კოლეგიალურად ამ ოქმებზე ხელი არ უწერია და ზოგიერთს გარდა (მაგ., ბ-ნ ზდანოვიჩისა) არავინ დებულობს თავის თავზე პასუხისმგებლობას, ამისათვის ჩვენ გადავწყვიტეთ მივცეთ პასუხისგებაში ძველი გამგეობა და ზარალს სამოქალაქო წესით გუზიავთო.

ამ საკითხმა წევრთა შორის დიდი გამწვავებული სჯა გამოიწვია. ზოგი კომისიის გადაწყვეტილებას არ დასჯერდა და სისხლის სამართალში მიცემას ურჩევდა კრებას. დირექტორმა ქუთათელაძემ კი ყველას რჩევას გადააჭარბა: კომისიამ რაც თქვა, ის ყველაფერი მართალია, იოტისოდენა სიცრუე არ არის, მხოლოდ მე მას არ ვეთანხმები: სამართალში უნდა მიგვცეთ არა მარტო გამგეობა, არამედ რჩევისა და სარევიზიო კომისიის წევრებიც, რომლებიც ჩვენი ზედამხედველები იყვნენ და, თუ რამე წავახდინეთ, რატომ წლიურ კრებებზე არ გვაფთხილებდნენო. ამასთან სამოქალაქოს კი ნუ დაგვაჯერებთ, სისხლის სამართალში მიგვეცით, თუ გინდათ, რომ ყოველივე სიმართლე გამოირკვესო. ასეთ გაბედულ სიტყვაზე მას გაცებით ტაშიც კი დაუკრეს. ესევე მოითხოვეს სხვებმა, ხოლო პავლე თუმანიშვილმა კომისიას უსაყვედურა, ასეთ მკაცრ საბრალმდებლო ოქმის შედგენის დროს რატომ ერთხელ მაინც არ დაუძახა დამნაშავეებს და მათ რამე არა ჰკითხაო. ამგვარ საზოგადო საქმეში კი არა, მთავრობის გამოძიებაში ჟანდარმები მთელი ორი თვე მიბარებდნენ, როგორც დამნაშავეს ანჯაფარიძის ამხანაგობის საქმის გამო, და დაწვრილებით მეკითხებოდნენ ყველაფერს, აქ კი ამას არ მოველოდიო. მაგრამ რადგან ასეა, მეც ვთხოულობ, ეს საქმე სისხლის სამართალს გადასცეთ და იქ ვნახოთ, რას დაამტკიცებსო.

მხოლოდ ბანკის ახალი თავმჯდომარე და მოულოდნელად თვით კრების თავმჯდომარეც ერთხმად ამტკიცებდნენ, რომ სისხლის სამართალში ძველის გამგეობის მიცემას არავითარი აზრი არა აქვს, ზარალით, ჩვენი ბანკის მომავალ წარმატებას დიდად შეაფერხებს და, ვინ იცის, იქნება სულ ძირიც გამოუთხაროსო. ამგვარ დავაში ნაშუადღევის სამი საათიც გახდა. კრების გაგრძელება შორეულ მაისისათვის გადაიდო.

ის.—არიძე.

---

[1]) დღემდე შეუტანიათ გაწერილი 157,000 მანათში 40,000 მან., რაც დღევანდელ საერთო კრიზისების დროს ქუთათურებისათვის კარგი ნიშანია ამ ბანკის სახელის აღდგენისათვის.

„ხალხის აზრი“ *).

პატრიოტები „ხალხის აზრს“ „ერთ-მუჭა მოღალატეებს“ უპირდაპირებენ. მოღალატეებს შეადგენენ: ინტელიგენცია, მუშა ხალხი, პოლონელები, ფინები, ლიტველები, ებრაელები, ქართველები, სომხები და სხ... სულ ბევრი-ბევრი —40—50 მილიონი გამოვიდეს. პატრიოტები ამ „ერთ-მუჭას“ განადგურებას უპირობენ. მერე რით? ხალხითა და ხალხის აზრით. ხალხი ჩვენკენააო,—ყვირიან პატრიოტები და იმავე დროს გარშემო იხედებიან და ფიქრობენ,—რა ვქნა, სად არის ეს რაღაც ხალხია, რატომ არ მოდის, რატომ ხმას არ იღებს და ამ მოღალატეებს არ მუსრავსო.

ნამდვილად კი ხალხი პატრიოტებისკენ არ არის. ყველგან,—ტამბოვსა, კიშინიოვსა, იაროსლავსა, ბაქოს, ყაზანს, კურსკსა და სხვაგანაც დამტკიცდა, რომ პატრიოტების მხარეზე მხოლოდ ხეპრე ხულიგანები არიან. ამ „ხალხს“ შეადგენენ წვრილი ვაჭრები, მედუქნეები, პოლიციელები, ენატანიები და ცხოვრების ნაძირალი, ე. ი. ყველა ის, ვინც ერთ გროშად მამასაც გაჰყიდის და სინიდისსაც. აი, სწორედ ამისთანა „პატრიოტები“ შეადგენენ „შავ რაზმს“, გრინგმუტებისა და მეშჩერსკების „ხალხს“. მაგრამ ვინ არ იცის, რომ ეს „შავი რაზმი“ ხალხი არ არის. აბა ერთი ეს „ხალხი“ სოფლად გაუშვით და მეორე დღესვე დარწმუნდებით, რომ ნამდვილი ხალხი—სოფლელი—ამ პატრიოტებისაგან სულ გაიყვლიფება.

საზოგადოდ ხალხის მიმართულების გაგება ძნელია. გლეხი გულ-ჩახვეული და კარ-ჩაკეტილია, მაგრამ მაინც ყველამ იცის, რომ რუსეთის უმეტესი ნაწილი პროკლამაციებით იკვებება. რომელი ერთი მაზრა და გუბერნია დავასახელოთ?

ვინ არ იცის, რომ ზოგიერთ ადგილებში (მაგალითად, ვლადიმირისა, იაროსლავისა და სხვა გუბერნიებში) პროკლამაციებისა და უცენზურო ლიტერატურის გავრცელებას თვითონ მამასახლისები და გზირები განაგებენ. პერეიასლავის საერობო უფროსი ოფიციალურად იუწყებოდა: ჩემთან ჟანდარმები და პროკურორი იყვნენ. მამასახლისები მოვიწვიეთ და დავარიგეთ, აგიტატორები დაიჭირეთ და ჩაგვაბარეთო. მამასახლისებმა თანახმობა გამოაცხადეს,—დავიჭერთო, მაგრამ გავიდნენ, თუა არა გარედ, ერთმანეთს ღიმილით ეუბნეოდნენ: „როგორ არა, მოგვიცადეთ, ეხლავე დაგიჭერთ და მოგართმევთ. არსად სთქვათ“-ო. მერე რამდენია ამისთანა მაგალითი! ვინ მოსთვლის!

„მოსკ. ვედ.“-მა ვიღაც გორბაჩოვი და იმის ორი ამხანაგი გამოსძებნა და წერილი დააწერინა, ჩემმა სამამასახლისომ მთხოვა გამოვეცხადო, რომ ჩვენ, რასკოტინის სამამასახლისოს გლეხები, ინტელიგენციისა, მუშებისა და სტუდენტების მტრები ვართო. მაგრამ ორიოდე კვირის შემდეგ ამავე სამამასახლისოს ერთმა სოფელმა, 72 კაცმა, ამ წერილის სიცრუე აღიარა და განაცხადა, ჩვენ მხოლოდ ინტელიგენციისა, მუშებისა და სტუდენტების იმედი გვაქვსო.

აი, მეორე მაგალითიც: ერთმა საერობო უფროსმა სოფლის დადგენილება დაამზადა და გლეხებს ხელის მოწერა სთხოვა. გლეხებმა ხელი არ მოაწერეს. სოფლის დადგენილებაში ეწერა, ჩვენ „ხელმწიფისა და სამშობლოს მტერი“—ექიმი დორფი არ გვინდა და ამიტომ ვაგდებთო. საერობო უფროსმა ეს ვითომდა სოფლის დადგენილება პატრიოტულ გაზეთში გამოაცხადა, მაგრამ ცოტახნის შემდეგ გლეხებმა პროტესტი განაცხადეს, ჩვენ მაგისთანა დადგენილება არ მოგვიხდენია და ექიმი დორფი ჩვენ მეგობრად მიგვაჩნიაო.

მესამე სოფელმა მინისტრს მისწერა, ხიშტითა და სალდათით ვერ დაგვამშვიდებთ. ჩვენ მხოლოდ დამფუძნებელი კრება დაგვამშვიდებსო. ვინ იცის, რამდენ სოფლიდან არ იგზავნება ამისთანა „პატრიოტული“ თხოვნები. ყველას ვინ ჩამოსთვლის!

საზოგადოდ ჩვენ დროს ხალხი პოლიტიკურად საოცარის სისწრაფით იზრდება. აი, თუნდ მუშები აიღეთ. ამ რამდენისამე წლის წინად მუშათა კლასის უმეტესობა უბრალო ბრბოს წარმოადგენდა, ეხლა კი შეიკრა, შეჯგუფდა და ისეთის ერთგულობითა და ერთპირად მოქმედობს, რომ ევროპის მუშას სულაც არ ჩამოუვარდება. ასეთივე ცვლილება ხდება სოფლადაც.

ინტელიგენციას შეუძლიან თამამად სთქვას: „ჩვენი ძალა ხალხია; თუ გრინგმუტებსა და სახაზინო პატრიოტებს მაინც ხალხის იმედი აქვთ, ცხადია, ვის და რას წარმოადგენს ეს ხალხი: სულს უვიცობას, სიბნელეს, გაუთლელობასა და ხეპრეობას.

გრინგმუტებსაც სწორედ სიბნელისა და გაუნათლებლობის იმედი აქვთ, მაგრამ თვითონაც გრძნობენ, რომ, დღეს თუ ხვალ, ეს საძირკველიც გამოეცლებათ ქვეშიდან და დარჩება ჰაერში ჩამოკიდული გრინგმუტი, მეშჩერსკი, კრუშევანი, კომაროვი და „ერთი-მუჭა პატრიოტები“, რომელთა სუსტი კნავილიც ხალხის მძლავრ გრიალში ისევე შთაინთქება, როგორც მათი ხსენება ხალხის მეხსიერებაში.

---

*) „ნოვოსტი“ № 101.

რუსეთი

საერობო მოღვაწეთა კრებაზე მოსკოვში, პეტერბურგიდან გაგზავნეს 1,208 კაცისაგან ხელმოწერილი შემდეგი რეზოლიუცია: „ყველა იმ უბედურებამ, რომელიც ამ ბოლო დროს რუსეთის საზოგადოებას დაატყდა, რუსეთი მიიყვანა იმ დასკვნამდე, რომ საჭიროა ძველი წესი შეიცვალოს. წესების შეცვლაში რუსეთმა უნდა იხელმძღვანელოს საყოველთაო თანასწორობის პრინციპით. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ეს პრინციპი გაიმარჯვებს და დარწმუნებულნი ვართ, რომ ერობა და ქალაქები მხარს მისცემს სამართლიანობის იდეას ქალთა თანასწორობის საკითხის შესახებაც. აქამდისინ ქალს შეეძლო თავის მდგომარეობას შერიგებოდა და თავი იმით ემართლებინა, რომ უფლება ყველასა აქვს მოკლებული და მეც მათ რიცხვში ვარო, მაგრამ ეხლა, როდესაც საზოგადო უფლებებზეა ლაპარაკი, ქალს გაჩუმება არ შეუძლიან. იმას აქვს უფლება სხვას მხარში ამოუდგეს და სხვასთან ერთად თავის თანასწორობაც მოითხოვოს.“

ნი, ძლიერი ნაციონალიზმით გამსჭვალულნი და აღფრთოვანებულნი და სამაგალითო ერთობით შეკავშირებულნი....

სად უნდა ვეძიოთ ხსნა? ამ საკითხზე მისცა ჯეროვანი პასუხი თავად-აზნაურობამ აღმოსავლეთის და დასავლეთის საქართველოსამ და ქართულმა პრესამ, გარდა ერთის ქართული გაზეთისა. ამათ დაასახელეს უებარ წამლად ავტონომია საქართველოსი.

აქ უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ ტერმინმა ბევრი განაცვიფრა, გააკაპასა და საომარს ფეხზე თურმე დააყენა ჩვენ წინაამდეგ. ავტონომია ხომ პოლიტიკურს განცალკევებას, რუსეთის ჩამოშორებას, სეპარატიზმს მოასწავებსო, გაიძახიან სიტყვითაც და კალმითაც, გაიძახიან გარეულნი და შინაურნი. ეს ან უსუსურის გაუგებრობის ნაყოფია, ან ბოროტ-განზრახულობისა. ავტონომია არამც თუ სეპარატიზმს არ მოასწავებს, არამედ ძირიან-ფესვიანად სთხრის და სპობს სეპარატიზმსა. სეპარატიზმი არის პირმშო შვილი ცენტრალიზაციისა, რომელიც სულს უხუთავს ეროვნებებს და სულ იმას ანატრულებს, როდის იქმნება ამ ჩემს მტარვალს სახელმწიფოს თავი დავახწიო და ცალკე ვიცხოვროვო. ავტონომია კი ხალხს ანიჭებს შინაურ თავისუფლებას და უკვლევს ფართო გზას კულტურულის განვითარებისათვის.

ჩვენ, ქართველებმა, კარგად ვიცოდით და ვიცით, რომ პატარა ერი ვართ, რომელსაც ცალკე სახელმწიფოს გაძღოლა და შენახვა მძიმე ტვირთად დაგვაწვება კისერზე. უბედური სერბიის ბედი ჩვენში არავის სახარბიელოდ არ მიაჩნია. ჩვენში ყველა შეგნებული ქართველი დარწმუნებულია, რომ პატარა სახელმწიფოების ხანამ გაიარა, და დადგა დრო დიდი ფედერაციებისა. ავტონომიურს პრინციპზე მოწყობილი ქვეყანა სარგებლობს ყველა იმ სიკეთით, რომელიც აქვს ცალკე თვით მდგომარე სახელმწიფოსა, და იმავე დროს მოშორებულია ბევრს იმ მძიმე ზრუნვას, მოუსვენრობას, ნაკლსა, რომელსაც თავიდან ვერ იცილებს ვერც ერთი თვითმდგომარე სახელმწიფო. ამის გამო ავტონომიურ ნაწილს, ერთეულს, მეტი თავისუფალი დრო და შეძლება აქვს თავისი კულტურული ზრდა აღორძინოს, დააჩქაროს.

საქართველოს ავტონომიის დამყარების შემდეგ ბევრი რამ დარჩება კიდევ ცენტრალურის მთავრობის ხელში. სახელმწიფოს ძირითადი საკონსტიტუციო კანონები, ცენტრალურ პარლამენტში დადგენილნი, სავალდებულო იქმნებიან ჩვენთვისაც. საერთო იქმნება: ჯარი, ფლოტი, ფინანსების ნაწილი, დამოჟნა, საგარეო პოლიტიკა, საერთო ვალი და ზოგი სხვა საქმეც. თვით საქართველოს მიენიჭება: საკუთარი კანონმდებლობითი დაწესებულება, ადგილობრივი პარლამენტი, რომელიც არჩეულ იქმნება საყოველთაო, პირდაპირი, საზოგადო და ფარულის კენჭის ყრით. ეს ადგილობრივი პარლამენტი შეიმუშავებს, დაადგენს და გამოსცემს ყოველგვარ კანონს შესახებ საქართველოსა. სკოლა გვექნება ქართული, ქართული იქმნება აგრეთვე ადმინისტრაცია და სამმართველო; ჩვენს ეკლესიას მიენიჭება სრული ავტოკეფალია, საკუთარი კათოლიკოზი. ერთი სიტყვით, შინაური მართებლობა იქმნება სავსებით ქართული.

ამგვარ ავტონომიას ითხოვს დაჟინებით, არა მარტო აწმდგომისა და მომავლის სიკეთე, არა მარტო დაუბრკოლებელი წინ მსვლელობა და კულტურული განვითარება ჩვენის ქვეყნისა, არამედ წარსულის ხმაც, ისტორიული სიმართლეც. წარსულის საუკუნის დასაწყისში საქართველო შეუერთდა რუსეთსა იმ პირობით, რომ იგი დარჩენილიყო ავტონომიურ ნაწილად საერთო სახელმწიფოსი და ჰქონოდა სრული შინაური თვითმმართველობა, ნაციონალური თავისუფლება და ყოფილიყო თავისი თავის ბატონი. დროა, რომ ეს პირობა სავსებით იქმნას შესრულებული და მოისპოს საბუთი ქართველთა დრტვინვასა, მოისპოს მთელის საუკუნის უსამართლობა. მაგრამ შეიძლება სთქვან და ზოგნი კიდეც ამბობენ: თუმცა ქუთაისის გუბერნია თითქმის მარტო ქართველებით არის დასახლებული, მაგრამ, სამაგიეროდ, ტფილისის გუბერნიაში ბლომად არიან სომხები, და ვაი თუ ქართველობამ ისარგებლოს ავტონომიითა და მათ შეევიწროვება მიაყენოსო. ამის შესახებ უნდა მოგახსენოთ, რომ დედამიწის ზურგზე ძნელად მოიპოვება ქვეყანა, სადაც სცხოვრობდეს მხოლოდ ერთად-ერთი ერი; ყველგან მთავარ-ერთან სცხოვრობენ სხვა ერებიც, და, თუ ავტონომიის აუცილებელ პირობად ყოფილიყო ერთერობა, ვერც ერთი ქვეყანა თვითმართველობას, ავტონომიას ვერ ეღირსებოდა. მაგრამ მეორე საბუთიც კიდევ უფრო საგულისხმოა. წარსულს საუკუნოებში ქართველებს ჰქონდათ თავისი საკუთარი სახელმწიფო; მაგრამ მათ არას დროს არ მოსვლიათ გონებაში შევიწროება სომხებისა, თათრებისა და ურიებისა. სომხები სრულიად გათანასწორებულნი იყვნენ ქართველებთან ყოველ მხრივ და, ასე გასინჯეთ, ზოგი მაღალი სახელმწიფო ადგილი ჩამომავლობით ეჭირათ. სრული თავისუფლებით სარგებლობდნენ აგრეთვე თათრები, რომელნიც იმდენად მადლიერნი იყვნენ საქართველოსი, რომ შემოსეულს თათრებს ებრძოდნენ სრულის თავ-განწირვით. მოშორებულნი იყვნენ აგრეთვე დევნასა ურიები. წარსულში ქართველები თითქმის სარწმუნოებრივი ფანატიკოსები იყვნენ; მაგრამ ისტორიას არ ახსოვს, რომ ებრაელები, შემოხიზნულნი საქართველოში, ჩვენებს ეწვალებინათ, ედევნათ და ეძლიტნათ, თუმცა ეს ჟლეტა მაშინ ევროპაში ხშირი იყო და ახლაც ხშირია რუსეთში... ფრიად შესანიშნავია, რომ ეს ხათრი-ჯამობა ქართველებისა მით უფრო მეტი იყოს დასახელებულ ერთა შესახებ, რამდენადაც უფრო ძლიერი იყო საქართველო, მაგალითად, დავით აღმაშენებლის და თამარ მეფის დროსა... ამიტომ სრულს ჭეშმარიტებას ვაღიარებთ, თუ ვიტყვით, რომ ავტონომიურს საქართველოში ყველას საზოგადოდ და კერძოდ სომხებს მინიჭებული ექმნებათ სრული თავისუფლება ეკკლესიისა, სკოლისა, ლიტერატურისა, თავისი ეროვნულის კულტურის განვითარებისა, ჯეროვანი ადგილი ეჭირებათ ადმინისტრაციაში, სამსახურში და პარლამენტში.

ახლა ვიკითხოთ: რა გავლენა ექმნება ავტონომიის დამყარებას საქართველოში სოციალური საკითხის გადაწყვეტაზე? მუშათა და გლეხთა ბედი უფრო სწრაფად გადასწყდება სასურველად, თუ ავტონომია დააგვიანებს, შეაჩერებს სანატრელს სოციალურს ცვლილებასა? ზოგნი იმ აზრისანი არიან, რომ ავტონომია დააშორებს ქართულ მშრომელ კლასს რუსეთის მშრომელს ხალხსა, შეასუსტებს მათს ძალასა და სოციალურს ცვლილებასაო. ეს აზრი ყოვლად უსაფუძვლოა. დემოკრატიულ ავტონომიას არსად არ შეუსუსტებია მშრომელი ხალხის სოლიდარობა და ვერც ჩვენში შეასუსტებს. რა არიან ამერიკის შეერთებული შტატები, შვეიცარიის კანტონები, გერმანიის იმპერიის სამეფონი, თუარა სრული ავტონომიურნი ნაწილნი საერთო სახელმწიფოსი. მაგრამ აქ მშრომელთა ხალხის ერთობა ბევრად უფრო მტკიცეა, ვიდრე უნიტარულს-ცენტრალურს საფრანგეთში, და სოციალურ-რადიკალურს ცვლილებას შესაძლებელია უფრო ადრე მოესწრონ ამერიკელები, შვეიცარიელები და გერმანელები, ვიდრე ცენტრალიზმის მიმდევარნი ფრანცუზები.—ჩვენ ღრმადა ვართ დარწმუნებულნი, რომ ავტონომია საქართველოსი ბევრად დააჩქარებს სოციალურს ცვლილებას ქართველთა შორის და დაეხმარება მის დროიანად განხორციელებას თვით რუსეთში. და, აი, ამისი საბუთებიც.

ქართველი ხალხი უფრო ცოცხალი, უფრო მოძრავი, ახალის სასიკეთო ცვლილების უფრო ადვილად შემთვისებულია, ვიდრე რუსი ხალხი. საქართველო პატარა ქვეყანაა და ერთს კუთხის მოძრაობა სწრაფად იფინება სხვა კუთხეებში; რუსეთი უზარმაზარი სახელმწიფოა და ერთი ადგილის მოძრაობა სხვა კუთხეებზე ან სულ არ ვრცელდება და, თუ ვრცელდება, მეტად გვიან.

სოციალურ ცვლილების წინააღმდეგნი ელემენტნი საქართველოში ბევრად სუსტნი არიან, ვიდრე რუსეთში, ჩვენში ამ ცვლილებას ეწინააღმდეგება უმთავრესად მსხვილი თავადობა, და ამის რიცხვი კი თითებზე დაითვლება. ქართველი წვრილფეხა აზნაურობა გლეხისაგან არაფრით გაირჩევა და სოციალური ცვლილებით იგი მოიგებს და არ წააგებს. ბურჟუაზია ჩვენ ჯერ არა გვყავს და, თუ თითო-ოროლა ვაჭარს სიმსუქნე ეტყობა, ეს ანგარიშში ჩასაგდები არ არის. თვით თავად-აზნაურობის კრებაზე სოციალურის ცვლილების მომხრენი ბევრნი იყვნენ და ხიშტის ჩარევის მსურველნი—ერთ მუჭა დასს შეადგენდნენ, რომელიც დაგმობილი იქმნა თავად-აზნაურის უმრავლესობისაგან. ეხლა გავითვალისწინოთ რუსეთის ელემენტები. იქაური მუშა ხალხი და მეტადრე გლეხობა ჩვენებურ მუშა-ხალხზე და გლეხობაზე, უეჭველია, დაბლა დგას განვითარებით და, მაშასადამე, ისე მტკიცედ ვერ იბრძოლებს სოციალურის ცვლილების განსახორციელებლად, როგორც იბრძოლებენ ჩვენებურნი. ბურჟუაზია რუსეთისა საკმაოდ მრავალ რიცხოვანია და სოციალურს ცვლილებას დიდს წინააღმდეგობას გაუწევს. მრავალ-რიცხოვანი აზნაურობა რუსეთისა მდიდარია მამულით და დიდძალს ჯარს გამოიყვანს თავისი ინტერესების დასაცველად, რომელნიც ეწინააღმდეგებიან მშრომელი ხალხის ინტერესებს. რუსეთის ბიუროკრატია მრავალ-რიცხოვანია, გავლენიანი, გაწრთვნილი და დღესაც დიდ ძალას წარმოადგენს, და ეს ძალა კი წინააღმდეგი იყო, არის და იქნება აწინდელის სოციალურის წესრიგის შეცვლისა საასროდ... ერთი სიტყვით. ხალხი ბევრათ უფრო ადვილად და ადრე გამეფდება საქართველოში, ვიდრე რუსეთში, და ამიტომ ჩვენი „დასელები“, რომელნიც ეწინააღმდეგებიან ავტონომიას, ძირს უთხრიან განხორციელებას თავისავე მოძღვრებისას და მოგაგონებენ იმ ადამიანებს, რომელზედაც ჯვარცმულმა ქრისტემ სთქვა: არა უწყიან, რასაც იქმენ...

მარტო სოციალური ცვლილება არ არის საკმარისი ჩვენის ქვეყნის აყვავებისათვის. ფრიად საჭიროდ მიგვაჩნია აგრეთვე ეროვნული თავისუფლება, ფართო ნაციონალიზმი. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ სოციალიზმი, ეროვნულ პრინციპის გარეშე, უძლურია აღორძინოს ქვეყანა. აგრეთვე უძლურია, ნაციონალიზმი უსოციალიზმოდ. დიდი ხანია, ნათქვამია: „არა ერთი პურითა ცოცხალ არს კაციო“. საჭიროა სრული დაკმაყოფილება სულისაც. სული კი, როგორც ხორცი, ყველა ადამიანისა, ეროვნულია, ნაციონალურია. ნაციონალიზმი კოლექტიური პიროვნობის, კოლექტიური თავისუფლებაა. და როგორც კერძო ვერ განვითარდება, ვერ გაიფურჩქნება, თუ მის პიროვნებას და თავისებურობას ფართო გზა არ ექმნება გახსნილი, ისე ერი დაიჩაგრება, თუ მის ეროვნებას არ მიენიჭება სრული თავისუფლება, თუ არ მიენიჭება: ეროვნული სამართალი, ეროვნული სკოლა, სრული გამგეობა, ეროვნული თვით-მართველობა. ამიტომ, ვინც გაიძახის: ძირს ნაციონალიზმი და ძირს ავტონომია და გაუმარჯოს მარტო სოციალიზმსაო, აცლის ხალხს კეთილდღეობის ერთს მთავარს ბოძსა და სტოვებს მას მხოლოდ მეორე მთავარის ბოძის ამარა. მეორე მხრივ, ვინც ამბობს, გაუმარჯოს მარტო ნაციონალიზმს და ხიდ ქვეშ სოციალიზმიო, სჩადის იმავე ცალმხრიობას, უკუღმართობას, ჭკუა-მოკლეობას. ჯერ კაცობრიობა არ მოსწრებია იმისთანა მაგალითს, რომ ერს ეღალატებინოს ეროვნული გზისათვის, გადასცდენოდეს მას და არ წასულიყოს უკან, არ გადაშენებულიყოს. ნაციონალიზმი, ხელიხელ ჩაკიდებული სოციალიზმთან, გახლავთ ორპირი იარაღი, რომელიც ერთი პირითაც უკაფავს ხალხს გზას ბედნიერებისაკენ და მეორე პირითაც.

ამ ნაციონალ-სოციალურ მიმართულებას თანაუგრძნობს დღეს დიდი უმრავლესობა ქართველ შეგნებულ საზოგადოებისა და დიდი უმრავლესობა თვით მდაბიო ხალხისა, ზოგი ინსტიქტიურად და ზოგი შეგნებით.

მხოლოდ ამ ფართო მიმართულებას, მოკლებულს ვიწრო დოქტრინის ცალმხრიობას, შეუძლიან თავი მოუყაროს მთელს ქართველობას ერთის დროშის ქვეშ, დააყენოს კულტურის ფართო გზაზე, განავითაროს ნივთიერადაც, გონებრივად და ზნეობრივად და მომავალში მიანიჭოს კეთილდღეობა.

იაკობ გოგებაშვილი.

ამიტომ—სწერენ ბოლოს რეზოლიუციაში—გვწამს რა საზოგადო აზრის ძალა და გრძნობა სამართლიანობისა, რომლითაც აღჭურვილია რუსეთის ხალხის ყველა პროგრესიული ელემენტი, ჩვენ, ქვემო ამის ხელის მომწერელნი, ვთხოულობთ, რომ საერობო და საქალაქო კანონმდებლობის გადასინჯვის დროს ქალებს მიეცეთ აქტიური და პასსიური არჩევნების უფლება სამოქალაქო და საერობო თვითმართველობაში"-ო (ს. ო.).

◆ კრონშტადში, 20 აპრილს, სტუდენტებმა ჩვეულებრივი საღამო გამართეს. საღამოს დაესწრო მრავალი ქალი, კაცი და, სხვათა შორის, საზღვაო აფიცრებიც. ცეკვის შემდეგ სტუდენტებმა მოიყარეს თავი შუაგულ დარბაზში და რამდენიმე სიმღერა სთქვეს. სხვათა შორის ერთი სტუდენტის თხოვნით „მარსელიეზას“ სიმღერაც დაიწყეს. ეს არ მოეწონა ზოგიერთ საზღვაო აფიცერს და ასტეხეს ყვირილი: „გაჩუმდით“, „არ გაბედოთ“, „აქ მაგის ადგილი არ არისო“ და სხვა. ერთი აფიცერი, მიჩმანი რ. თავისი ამხანაგით, რომლის გვარიც არ იციან, მივიდა მომღერლებთან და დაუყვირა: „შესწყვიტეთ სიმღერა“-ო და თანაც გაილანძღა. სტუდენტებმა აფიცერს გინებაზე გინებით ვერ უპასუხეს და იქვე მყოფ დანარჩენს აფიცრებს, რომელთაც ინციდენტში მონაწილეობა არ მიუღიათ, მიმართეს თხოვნით, დაენიშნათ იქვე «საამხანაგო სასამართლო». ცალკე ოთახში შეიყარნენ აფიცრები და სტუდენტები ამ საკითხის გარდასაწყვეტად. მიჩმანი რ. და მისი ამხანაგი საქმეს არ დასწრებიან. ხანგრძლივ კამათის შემდეგ იქ დამსწრე აფიცრებმა მიჩმან რ—სა და მისი ამხანაგის საქციელი უზრდელობად სცნეს (ს. ო.).

◆ გატჩინოში, დღესასწაულებზე, შემდეგი ინციდენტი მომხდარა: ქუჩაში მდგარა საიდუმლო პოლიციის ერთი აგენტი. რეალურ სასწავლებლის მოწაფეს ნ—ს გვერდზე გაუვლია და დაუძახნია მისთვის: „ჯაშუშო“. აგენტს პოლიციისთვის დაუძახნია და უბნის ზედამხედველისა და ერთი მეეზოვეს დახმარებით მოწაფე პოლიციაში წაუყვანია, სადაც შეუყენებიათ ოქმი და პოლიციიდან არ გამოუშვიათ, სანამ მამა არ მიშველებია. ამაზე რეალურ სასწავლებლის დირექტორს თავი გამოუდვია და პოლიცმეისტერთან უჩივლია. პოლიცმეისტერს პოლიციელთა საქციელი უკანონოდ უცვნია და დაუჯარიმებია: უბნის ზედამხედველი—25 მანათით, საიდუმლო პოლიციის აგენტი—40 მან. და მეეზოვე,—10 მანათით. რეალურ სასწავლებლის მოწაფეებს მოულაპარაკნიათ, მეეზოვე უდანაშაულოდ უცვნიათ, რადგანაც პოლიციის ბრძანებას ასრულებდა, მხოლოდ მოუგროვებიათ 10 მანათი და გადაუციათ მეეზოვესთვის ჯარიმის გადასახდელად. (ს. ო.).

◆ აღდგომის პირველ დღეს, საღამოს 7 საათზე, მელიტოპოლში ხმა გავრცელდა, ხულიგანები **ქალაქს იკლებენო.** ბრბომ ჯერ საქანელა დაამტვრია, მერე პოლიციელს სცემა და შუა ქალაქისაკენ გაემართა და მაღაზიების მტვრევა და სახლების წვა დაიწყო. ცეცხლი ღამის 9 საათზე დაიწყო. 12 საათზე 43 მაღაზია და სახლი იწოდა. ბრბო რამდენსამე ნაწილად იყო დაყოფილი. ყველანი მაღაზიებს ამტვრევდნენ, იკლებდნენ, იტაცებდნენ და მერე ცეცხლს უკიდებდნენ. მცხოვრებნი, როგორც იყო, შეერთდნენ და ხულიგანებს იარაღით გაუწიეს წინააღმდეგობა. დაჭრილი ბევრია, მოკლული—არ იციან. **პოლიცია არსად სჩანდა.** ღამის 12 საათზე არეულობა გათავდა და პოლიციაც გამოჩნდა, მაგრამ სულ ერთ ალაგას იდგა. განაპირა ადგილებში ღამის 3 საათამდის არ შემწყდარა ძარცვა-გლეჯა. იმ ადგილებში პოლიცია სულ არ გაჩენილა. 50 მაღაზია დაიწვა. გადარჩენით ვერაფერი გადაურჩენიათ (რ. ვ.).

◆ გრაფი უვაროვი „სლოვო“-ში სწერს: სარატოვიდან ერთი **პროკლამაცია მივიღე.** ამ პროკლამაციას თურმე მთელ გუბერნიაშიავრცელებენ. აი, ზოგიერთი ადგილები ამ პროკლამაციისა: „რუსეთი ჯერ ცოცხალია, მასში ჯერ კიდევ ღვივის სარწმუნოება, ღმერთი, რომელიც არაყზე ჯერ არ გაუყიდნია. დაე, ხალხმა დალიოს, დაე, დედები დაითვრნენ, დაე ბავშვებიც ჩაიხრჩონ არაყში, დაე ეკლესიები ცარიელი იყოს, დაე ებრაელებსაც სცემონ, მაგრამ ეს მხოლოდ დროებითი მოვლენაა. მოვა დრო და აღსდგება რუსეთი და წავა თვითმპყრობელობისა, ხელმწიფისა და მართლმადიდებლობის დასახსნელად. აი, სწორედ მაშინ დაიწყება ისეთი ამბები, რომლის მსგავსი ჯერ ქვეყანას არ უნახავს, მაშინ მოვა სოციალისტებისა, რევოლიუციონერებისა, ჭურდებისა, სალახანებისა და ამგვარ ბინძურების აღსასრულის დღე“. ეს ნამდვილი „პუგაჩოვშჩინაა“, —სწერს უვაროვი, —მაგრამ ყველაზე საკვირველი ის არის, რომ ამ პროკლამაციაზე ხელი უწერია მღვდელს ვესელიცკის და ნება-დართულია ცენზორის პროფესორის უნგეროვის მიერ (რ. ვ.).

◆ ვიბორგში კომისარს გროსს, რომელიც გუბერნატორის მიასოედოვის დაჭრის საქმეს იძიებს, ფოსტით რაღაც ყუთი მოუვიდა. როცა ყუთი გახსნეს, შიგნიდან ალი ამოვარდა. აღმოჩნდა, რომ **ყუთი დინამიტით იყო სავსე.** ყუთი რომ აფეთქებულიყო, მთელი სახლი საძირკვლიანად დაინგრეოდა. სახლში ამ დროს პოლიცმეისტერი და რამდენიმე მოხელე იყო (რ.).

◆ „ბირჟ. ვედომოსტი“-სა, „ნაშა ჟიზნ“-ისა, „ნოვოსტი“-სა, „პეტერბ. ვედომოსტი“-სა, „პეტერბ. ლისტოკი“-სა, „რაზსვეტ“-ისა, „რუს“-ისა, „რუსკაია გაზეტა“-სი, „ჰეროლდ“-ისა, „სლოვო“-სი, „სვეტ“-ისა და „სინ ოტეჩესტვა“-ს გამომცემლებმა დაადგინეს, **ორშაბათობით გაზეთი აღარ გამოვცეთ,** რადგან მუშებსაც კვირაში ერთი თავისუფალი დღე უნდა ჰქონდეთო. ამ დადგენილებას „ნოვოე ვრემია“ არ მიემხრო. სუვორინი აცხადებს, სულ ერთია, ეგ მხოლოდ დროებითი გადაწყვეტილებაა და რა საჭიროა მუშების დასვენება, როდესაც, დღეს თუ ხვალ, ისევ ძველ წესს დავუბრუნდებითო (რ. ვ.).

◆ **ახალმა სიომ დონის კაზაკებსაც დაჰბერა.** კამენსკაიას სტანიცაში 7 აპრილს 200 კაცი შეყრილა და ფრიად რადიკალური რეზოლიუცია დაუდგენია (რ. ვ.).

◆ 24 აპრილს პეტერბურგში ბუფის საზაფხულო თეატრში **პატრიოტებსა და ახალგაზდობას დიდი ჩხუბი მოსვლიათ.** წარმოდგენის შემდეგ რესტორანში აფიცრები ქეიფობდნენ. იქვე ხალხი დასეირნობდა. ხალხიდან ვიღაცა გამოვიდა და აფიცრებს აუარებელი პროკლამაციები გადააყარა თავზე. ამაზე ჩხუბი ატყდა. ერთმანეთს ჯოხებითა და ქოლგებით დაერივნენ. ჭურჭელი და მთელი რესტორანი მიამტვრიეს (რ. ს.).

◆ „ნოვოსტი“-ს რედაქტორი ნოტოვიჩი სასამართლოში მისცეს. ნოტოვიჩს ისეთ ლიტერატურის გავრცელება ჰბრალდება, რომელიც არსებულ წეს-წყობილების წინააღმდეგ არის მიმართული (რ. ს.).

◆ 24 აპრილს ეკატერინოდარში მუშები და ნოქრები **გაიფიცნენ** (რ. ს.).

◆ **ვოლოგდაშიაც ვაფიცვაა.** მაღაზიები, სახელოსნოები და სამრეწველო დაწესებულებანი დაკეტილია (რ.).

◆

სწავლა-განათლების საქმე თანამედროვე რუსეთში.

ყველა უმაღლესი სასწავლებელი რუსეთში დახურულია. ხმის უმეტესობით ყველგან გადასწყვიტეს, რომ თანამედროვე პირობებში სწავლის გაგრძელება არ შეიძლება.

1. **რკინის გზის ინჟინერთა ინსტიტუტში** შეწყვეტილია სწავლა.

2. **ტეხნოლოგიურ ინსტიტუტში** შემდეგი განცხადება არის გამოკიდული: „სწავლა ჯერჯერობით შეჩერებულია“.

3. **პეტერბურგის პოლიტეხნიკუმში** რჩევამ ერთხმად გადასწყვიტა შეაჩეროს დროებით სწავლა.

4. **ქალთა საექიმო ინსტიტუტში** შემდეგი განცხადებაა: „ამ წელიწადს სწავლა ცოტა ხნით გადიდება“.

5. **ქალთა უმაღლეს კურსებში** ასეთივე განცხადებაა გამოკიდული.

6. **ხელოვნების აკადემიაში** შეწყვეტილია სწავლა.

7. **იაროსლავის ლიცეიში** უვადოდ შეაჩერეს სწავლა.

8. **ხურთო-მოძღრების ინსტიტუტში** სწავლა ახლანდელ ამბებისა გამო 1 ენკენისთვემდის გადიდო.

9. დაიხურა **ქალთა პედაგოგიური კურსები ოდესაში.**

10. შეწყვეტილია სწავლა **მოსკოვის სამეურნეო ინსტიტუტში.**

11. შეწყვეტილია სწავლა **მოსკოვის სატეხნიკო სასწავლებელში.**

12. **ოდესის უნივერსიტეტის** რჩევამ გადასწყვიტა შეაჩეროს ლექციების კითხვა. უნივერსიტეტთან არსებულ ყველა საზოგადოების და დაწესებულების მოქმედება შეჩერებულია.

13. **ხარკოვის უნივერსიტეტის** შესავალ კარებზე შემდეგი განცხადებაა გამოკიდული: ახალ განკარგულებამდის სწავლა შეწყვეტილია.

14. **ხარკოვის საბეითალო ინსტიტუტში** შეჩერებულია დროებით სწავლა.

15. **ხარკოვის ტეხნოლოგიურ ინსტიტუტში**აც სწავლა ახალ განკარგულებამდის შეჩერდა.

16. **ვარშავის უნივერსიტეტი** დახურულია.

17. **ყაზანის საბეითალო ინსტიტუტში** სწავლა ახალ განკარგულებამდის შეწყვეტილია.

18. **ყაზანის უნივერსიტეტი** დროებით დახურულია.

19. **სატყეო ინსტიტუტში** სწავლა შეწყვეტილია ახალ განკარგულებამდის.

20. **ვარშავის საპოლიტეხნიკო ინსტიტუტში** შეწყვეტილია სწავლა.

21. **საექიმო სამხედრო აკადემიაში** კრებამ გადასწყვიტა სწავლის შეწყვეტა.

22. **სასულიერო აკადემიაში** კრებამ გადასწყვიტა იშუამდგომლოს სწავლის შეწყვეტის შესახებ.

23. **სასტატისტიკო კურსების** მსმენელებმა გადასწყვიტეს სწავლის შეწყვეტა.

24. **ახალ-ალექსანდრიის ინსტიტუტში** ერთხმად გადასწყვიტეს 1905 წლის 1 სექტემბრამდე სწავლის შეწყვეტა.

25. **კონსტანტინეს მიწის მზომელთა ინსტიტუტში** (მოსკოვში) სტუდენტებმა გადასწყვიტეს 1 სექტემბრამდე შესწყვიტონ სწავლა.

26. **როჟდესტვენსკის საქალებო კურსების** მსმენელებმა გადასწყვიტეს დროებით ხელი აიღონ სწავლაზე.

27. **პ. ლესგაფტის საქალებო კურსების** მსმენელებმა გადასწყვიტეს შემოდგომამდის შესწყვიტონ სწავლა.

28. **სამთამადნო ინსტიტუტის** სტუდენტებმა გადასწყვიტეს 1 ენკენისთვემდის აღარ ისწავლონ.

29. **იურიევის უნივერსიტეტის** რჩევამ 32 ხმის უმეტესობით, 9 წინააღმდეგ, გადასწყვიტა იშუამდგომლოს უნივერსიტეტის დროებით დახურვის შესახებ.

30. **პეტერბურგის უნივერსიტეტის** სტუდენტებმა გადასწყვიტეს შეაჩერონ სწავლა 1 ენკენისთვემდის.

31. **ბარონ შტიგლიცის სამხატვრო სასწავლებელში** 9 თებერვლის აქეთ შეწყვეტილია სწავლა.

32. **პეტერბურგის კონსერვატორიის** მოსწავლეებმა შესწყვიტეს სწავლა.

33. **ლაზარევის აღმოსავლეთ ენათა ინსტიტუტში** სტუდენტებმა გადასწყვიტეს შეჩერდეს სწავლა.

34. **მოსკოვის უნივერსიტეტის** სტუდენტებმა გადასწყვიტეს სწავლის შეჩერება.

35. **კიევის სასულიერო აკადემიის** სტუდენტებმა დაადგინეს სწავლის შეწყვეტა.

36. **ტომსკის უნივერსიტეტი** დაიხურა შემოდგომამდის.

37. აგრეთვე შემოდგომამდის დახურულია **ტეხნოლოგიური ინსტიტუტიც ტომსკში.**

ეს სია არ არის სრული. ზოგიერთ ადგილას, მაგ., ვარშავაში, უმაღლეს სასწავლებლებს გარდა, შესწყვიტეს სწავლა საშუალო სასწავლებლებშიაც. გიმნაზიელებმა მშობლების თანხმობით სასწავლებლებში სიარულზე აიღეს ხელი. თვით მშობლებმა გადასწყვიტეს, რომ არსებულ პირობებში სწავლა შეუძლებელია და მთავრობასაც მოსთხოვეს სასწავლებლების დახურვა.

შიდა-რუსეთშიაც ბევრგან საშუალო სასწავლებლებში შეწყვეტილია სწავლა.

ასეთი არის სწავლა-განათლების საქმე ამჟამად რუსეთში. მოსწავლე ახალგაზდობა და მასწავლებლები ცდილობენ, —არ ჩამორჩნენ საერთო მოძრაობას რუსეთში.

კორესპონდენცია

დ. სურამი. სურამსა და მის მახლობლად მდებარე სოფლებში სტიქიური აღელვება მშვიდმა მოძრაობამ და გონიერმა მოქმედებამ შესცვალა. საქმეებსა და ყოველგვარ დავა საჩივრებს ისევ გლეხების-მიერ ამორჩეული კაცები განაგებენ, თუმცა გაუქმებული სასოფლო კანცელარია ბოქაულმა გახსნა და ხალხს წინადადება მისცა, ძველებურად მიმართეთ ხოლმე მამასახლისსა და მწერალს და მათი შესანახა ფულიც გადაიხადეთო.

სამამასახლისო ფულის გაწერა ჯერ-ჯერობით ვერ მოახერხეს და დღითი-დღე ლაპარაკი-მითქმა-მოთქმას იწვევს გლეხთა შორის. მამასახლისმა რამდენჯერმე დაიბარა ზოგიერთნი, რომ ფულის გაწერას დასწრებოდნენ, მაგრამ დაბარებულნი ყოველ დღეს ღონობდნენ, რომ მამასახლისთან არ მისულიყვნენ და გლეხ კაცთათვის თითით საჩვენებელნი არ გამხდარიყვნენ.

აღდგომის წინა კვირას აქაური მეურნეობა კაზაკთა რაზმის გამოსვლამ დაარღვია. კაზაკები აქ მხოლოდ ერთს დღეს დარჩნენ; სადაც კარგი თივა იყო, ცხენებს აჭამეს და მეორე დღეს სხვა სოფლებისაკენ გაემართნენ.

აღსანიშნავია ერთი გარემოება, რომელიც დიდად საზარალოდ მოქმედებს ხალხზე და ერთმანეთში შურსა და მტრობას სთესავს. ვიღაც ქვემძრომი დადის და სომხებს ეუბნება: იარაღით მომზადეთ, ქართველები ამოხოცვას გიპირებენ და თქვენ დაასწარითო. ასევე ეუბნება ქართველებს, სომხები ამოჟლეტას გიპირებენ და თქვენ დაასწარითო. ასეთი ხმები დღითიდღე ვრცელდება ხალხში და ამ ორს ერს შორის უკმაყოფილება და სიძულვილი იზრდება.

ყურადღების ღირსია აგრეთვე სურამის საზოგადოების ერთი ნაწილის უკმაყოფილება იმის გამო, რომ ქართულს ეკლესიაში მუდამ რუსული გალობა არის. აღდგომის მეორე დღეს, ეკლესიაზე თავი მოიყარა თავად-აზნაურობამ და გლეხკაცობამ. საყდარში, ჩვეულებრივად, ადგილობრივი ჯარის კაცნი რუსულად გალობდნენ. გალავანში ხალხმა ერთმანეთში მოილაპარაკა და შემდეგ სამი კაცი შეუგზავნა ეკლესიაში მღვდელს: რუსულად ნუ არის გალობაო. მღვდელმაც მოთხოვნა იმავ წამს დააკმაყოფილა.

კვირაცხოვლობის წინა დღით, შაბათს, სოფელ ტეზერის აზნაურობა ცოლებითა და შვილებით შუაღამისას სურამში ჩამოიჭრა. გამოქცევის მიზეზად ასახელებენ იმას, რომ გლეხები თავს დაგვესხნენო. რამდენადაც მე გავიგე, გლეხები მოსალაპარაკებლად მისულან აზნაურებთან, მაგრამ უკანასკნელებს შეშინებიათ და შუაღამისას სურამში გამოქცეულან.

სოფელ აღში კვირაცხოვლობა აღარ გადაუხდიათ ისეთის ზარითა და ზეიმით, როგორც წინად იცოდნენ, სურამიდან საკვირაცხოვლოდ აღში რამდენიმე კაცი წავიდა, მაგრამ შუადღისას უკანვე დაბრუნდა, რადგან გლეხებს სოფელში არ შეუშვიათ. ვინც სოფელში შესვლას ისურვებდა, უთუოდ 25 მანათი უნდა გადაეხადა.

რ—ბ—ლი.

ღამის დეპეშები

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან).

გუნჯულინი. ამბობენ, იაპონელებმა თავისი მაშველი ჯარი წინ წამოსწიეს ტელინიდან კაიუანამდეო. ეს იმის მომასწავებელია, რომ ბრძოლას დღე-დღეზე უნდა მოველოდეთ.

პარიზი. „ტანის“ აზრით, იაპონელების პროტესტი იმის გამო, ვითომც საფრანგეთმა ნეიტრალიტეტი დაარღვია, სრულიად უსაბუთოა. საფრანგეთის წყლებზე რუსის გემები არცა მდგარან და არც შეერთებულანო. იაპონელები ფილიპინის კუნძულებზე იმასვე სჩადიოდნენ, რასაც ეხლა რუსებს უსაყვედურებენო. პროტესტი საფრანგეთისთვის კი არა, სხვა სახელმწიფოსთვის უნდა გამოეცხადებინათ, რომლის ქვეშევრდომნიც რუსებს ნახშირს უზიდავდნენო. რუსეთს არავითარი უპირატესობა არა ჰქონია საფრანგეთის წყლებზე და იაპონელების გემები რომ წასულიყვნენ რუსის ესკადრის დასახვედრად, შეეძლოთ საფრანგეთის სამფლობელოს ნაპირებით ესარგებლნათო. აქედან სჩანს, რომ საფრანგეთმა თავისი მოვალეობა ნეიტრალიტეტის შესახებ მარტო სიტყვით კი არა, არსებითადაც შეასრულაო. საფრანგეთის პასუხი ინგლისს საბუთიანად უცვნია.

ტოკიო. „რეიტერი“ ირწმუნება, რუსის ორი კრეისერი, მგონი «როსსია» და «გრომობოი», 26 აპრილს სუნგარის სრუტესთან თნახავთო.

„დეილი ტელეგრაფის“ ცნობებით, ინგლის-იაპონია ხელშეკრულობის განახლებას აპირობს, ხოლო ინდოეთსა, მანჯურიასა და კორეაზე აქვთ მოლაპარაკებაო.

ბერლინი. ბოგუენის დაპატიმრება ტოკიოში საფრანგეთის საწყენად უნდა იყოს, რადგან რუსის ესკადრას მფარველობდაო.

ჩატამი. როდესაც მუშები ანთებულ სანთლით შედიოდნენ ყუმბარის საწყობში, ერთბაშად იფეთქა. ერთი მუშა მოკვდა და რამდენიმე დაიჭრა. ეტყობა, ჰაერი გაზებით გაჟღენთულა.

ნიჟნი-ნოვგოროდი. როტმისტრი გერშკო თოხი ტყვიით მოჰკლეს: ერთი უკანიდან ესროლეს და სამიც წაქცეულს. მკვლელი პენზის გუბერნიის აზნაური, ალექსანდრე ნიკიფოროვი, მოსკოვიდან ერთხანად გაგზავნილი. მკვლელი დაჭერილია.

ბობრუისკი. გაიფიცნენ კალატოზნი და ქუჩების მომკირწყვლელნი.

რიგა, 27 აპრილი. ქალაქის განაპირად, მიტავის მიდამოში, საუზმედ მიმავალს საფეიქროს ოსტატს, გვარად როზნერს, 4 ბოროტ-განმზრახველი დაუხვდა. ერთმა ორჯერ დაახალა რევოლვერი და იქვე მოჰკლა; თუმცა ბევრი ხალხი იყო, მაგრამ მკვლელმა გაქცევა მაინც მოახერხა. ჯაშუშებმა დაამპატიმრეს ერთი უმაწვილი კაცი, ლატიში, 17 წლისა, ფაბრიკის მუშად ნამყოფი. დაპატიმრებული გამოტყდა მკვლელობაში მონაწილეობის მიღებაში, მაგრამ განაცხადა, —ჩემს ამხანაგებს ვერ გავცემო. ამასთანავე სთქვა, ამ მკვლელობისათვის 15 მანათს შემპირდნენ, მაგრამ ჯერ არ მოუციათო. დაპატიმრებულს რამდენსამე სხვა მკვლელობასაც აბრალებენ.

ადესა. პურის მცხობელთა გაფიცვა მშვიდობიანის შეთანხმებით გათავდა და მუშაობასაც შეუდგნენ. დაიწყო მექუდეთა და მეწაღეთა გაფიცვა.

ლოძი. ძმ. პრუსაკის ფაბრიკაში გაიფიცა 100 კაცი, მოითხოვეს ხელფასის მომატება. ამავე ფაბრიკაში 200 კაცი ისევ მუშაობს.

ბელოსტოკი. ვილნოს სამოსამართლო პალატის სესსია გროდნოში შეუდგა რამდენისამე პოლიტიკურ საქმის განხილვას. ბრალსა სდებენ ვოლდახსა და სხვებს სისხლის სამართლის დებულების 129 და 130 მუხლის ძალით.

პარიზი, 28 აპრილი. შუადღისას სევასტოპოლის ბულვარზე გაზის მილმა იფეთქა. სამს მეტრზე ტროტუარი რავდენსამე ადგილს აინგრა, მძიმე ქვები ხეივანში გადისროლა. სამი მიმავალი დაშავდა, ორი მძიმედ.

რეველი. ტოისის მამულში მოჯამაგირეებმა ფასის მომატება ითხოვეს. არეულობა არ მომხდარა.

ლიეჟი, 28 აპრილი. გუშინ აკურთხეს რუსეთის განყოფილება მსოფლიო გამოფენაზე მეფე ლეოპოლდმა დაათვალიერა და ადმინისტრაციის მიულოცა. მეფეს უფრო მოეწონა მის უდიდებულესობის კაბინეტის ექსპონატები.

ჟიტომირი, 29 აპრილი. ქალაქს მის და მადამოს ჯარი დარაჯობს. არეულობის დროს მოკლულა 14 ებრაელი და ორი ქრისტიანი; დაჭრილ ებრაელთაგან საავადმყოფოში მიუყვანიათ 62 და თავის სადგომებში—20, ქრისტიანთაგან დაჭრილა—9, მოკვდა 1.

24 აპრილს პეტერბურგის ქუჩაზე მოჰკლეს რესტორანიდან გამოსული ბოქაული კუაროვი, რომელსაც უკანიდან ესროლეს. მკვლელი ადგილობრივი ქრისტიანია, სიდორ ჩუკი, რომელიც შეპყრობილია.

პეტერბურგი. „პრავიტელსტვენი ვესტნიკში“ დაბეჭდილია, ახალი დებულება საშუალო სასწავლებელთა შესახებ მომავალ წელს წარედგინება სახელმწიფო რჩევას განსახილველად.

ცუჩინი, 28 აპრილი. გუშინ საღამოს დონის კაზაკთა პოლკის თოფის წამლის საწყობს კინაღამ ცეცხლი მისცეს. ბოროტ-განმზრახველი ოთხი იყო და ოთხივე მიიმალნენ.

ვეტრი (ოლკაგამა) ციკლონმა მოჰკლა 125, დააშავა 150. ონაიდერი, სადაც 1000 მცხოვრები იყო, დაანგრია. რკინის გზაც ძალიან დაზიანდა, სანფრანცისკოსთან მიმოსვლა შესწყდა.

ლონდონი. პალატაში ბალფურმა სთქვა, მოგვერების საკითხი სამად უნდა გაიყოს: დაცვა ინგლისისა, დაცვა კოლონიებისა და დაცვა ინდოეთისაო. უპირატესობა ინგლისის დაცვას უნდა მიეცეს. ჩვენ შევეკითხეთ სამხედრო სამინისტროს, რამდენი ჯარი დასჭირდება უცხო სახელმწიფოს, რომ ინგლისს დაეცესო. რობერტსმა უპასუხა—70,000 მეომარიო. შეიძლება, საფრანგეთს შეუძლიან გვიმტროსო, ხოლო ამჟამად საფრანგეთთან ომი საფიქრებელი არ არის. რუსები ბევრს ლაპარაკობენ, ინდოეთს დავესხათო, მაგრამ რუსეთის მთავრობას ეხლა ესეთი განზრახვა არ ექმნება. ავღანისტანს ვერას დააკლებენ, რადგან ძლიერი დვ საშიში ჯარი ჰყავსო.

დროებითი რედაქტორი **ფ. გოგიჩაიშვილი.**
გამომცემელი **თ. პავლე ი. თუმანიშვილი.**

გამოსადეგი ცნობანი

საავადმყოფოები:

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მ., ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიპოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის რჩევაც და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:

ავლაბრისა. კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი იგიტიანცი.

კუკიისა. ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა ექიმი კ. გძელიშვილი.

ხარფუხისა. ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისა. ექიმი ტატეოსიანცი.

დიდუბის განყოფილება. ექ. შჩერბინა.

თვალის სამკურნალო. კრილოვის ქუჩა, ველიკოკნიაჟესკის ქუჩის კუთხე. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე პუტიატა.

ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის, უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონესა ტიზენგაუზენის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფლისის ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანია. თვეში 12 მან. გამგე ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი ელიმიანცისა.

2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

სახალხო ბიბლიოთეკები

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა“

ტფილისში:

1. სასახლის ქუჩაზე, თავად-აზნაურობის ქარვასლაში,
ღია არის დილით 10—2 საათ.
„ „ საღამ. 5—7 „
კვირა-უქმე—დილით 11—1 „
2. ნაძალადევში, ვოდოპროვოდის ქუჩა, № 113.
ღია არის დილით 10—2 საათ.
„ „ საღამ. 5—9 „
3. ოლგას ქუჩაზე, სახლი № 19.
ღია არის დილით 10—2 საათ.
„ „ საღამ. „ 5—8

განცხადებანი

!! Остерегайтесь поддѣлокъ !!
ГИГІЕНИЧЕСКОЕ
Борно-Тимоловое Мыло
ПРОВИЗОРА
Г. Ф. Юргенсъ.
Уничтожаетъ веснушки, загаръ, желтыя пятна, прыщи, угри и дѣйствуетъ противъ излишней потливости и дезодорирующее. Рекомендуется, какъ благовонное туалетное мыло высшаго достоинства. Золотая медаль, Лондонъ 1893 г.
Цѣна за кусокъ 50 коп., ½ кус. 30 коп.
Продается во всѣхъ лучшихъ аптекахъ, аптекарскихъ и парфюмерныхъ магазинахъ.
Главный складъ для всей Россіи Г. Ф. Юргенсъ, въ Москвѣ. (19—მტც.—2)

ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის ზედამხედველი კომიტეტი, წესდების 91 § ძალით, ამით აუწყებს ხსენებულ ბანკის რწმუნებულთ, რომ ამა 1905 წელს, 29 მაისს, დილის 10 საათზე, ბანკის სადგომში, ქ. ტფილისში, ფრეილინის ქუჩაზე, დანიშნულია საზოგადო კრება.

განსახილველი საგნებია:

1) ანგარიში და მოხსენება 1904 საოპერაციო წლისა ბანკის მოქმედებაზე.

2) მოხსენება კომისიისა, რომელიც არჩეულ იქმნა 1904 წლის რწმუნებულთა კრებაზე, ბანკზე დარჩენილ მამულების საქმის გამოსარკვევად.

3) ბანკზე დარჩენილ მამულების მართვა-გამგეობის ინსტრუქცია.

4) ბანკში დასაგირავებლად წარდგენილ მამულების დაფასების ინსტრუქცია.

5) მოხსენება ბანკის სამოსამართლო საქმეების შესახებ.

6) წესდება ბანკში მოსამსახურეთა შემნახველ-დამხმარებელ კასისა.

7) მოხსენება ბანკის წესდების ზოგიერთ მუხლების შეცვლა-ჩამატების შესახებ.

8) ბანკის 1905 საოპერაციო წლის გასავლის ხარჯთ-აღრიცხვა.

9) არჩევნები სთანხმობით წესდებისა: ა) გამგეობის ორის წევრის, განს. თვ. შ. ა. გრუზინსკისა და ქრ. ი. მამაცაშვილის მაგივრად, რომელთაც ამ წელს სამსახურის ვადა უთავდებათ; ბ) მათი ორის კანდიდატის, თვ. ი. ო. ჯორჯაძისა და თვ. ა. რ. ორბელიანის მაგივრად; გ) დამფასებელ კომისიის ორის წევრის, თვ. დ. ნ. ჩერქეზიშვილისა და თვ. ი. გ. ჯორჯაძის მაგივრად, რომელთაც ამ წელს სამსახურის ვადა უთავდებათ, და დ) მათი ერთი კანდიდატის, თვ. რ. ი. ამირეჯიბის მაგივრად.

შენიშვნა: გამოცხადებულ რწმუნებულთა რიცხვის რაოდენობის მიუხედავად, რწმუნებულთა კრება მაინც შესდგება.

(3—2)

ერთი ფინჯანი
ვან-გუტენის
კაკაოსი
ძლიერ კარგი
და ადვილად
მოსანელებელი
საუზმეა
Фабриканты C. J. van Houten & Zoon, Weesp (Голландія)
Какао Ванъ Гутенъ
НИКОЛЬСКІЙ МОСКВА
(4—ტი.—3)

ელექტრონით მბეჭდავი ამხანაგობა „შრომა“, ფრეილინის ქ., № 5.